ახალი განათლება

2015 წელი, 21 - 27 მაისი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№19 (693) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

გვერდი 3

ნაადრევად დაანონსებული ცვლილებები და მათ განსახორციელებლად არსებული რეალური შესაძლებლობები

✔ *დირექტორს უნდა მივანდოთ შიდა სამზარეულო და, ამავდროულად, მიღწეულ შედეგებზე პასუხისმგებლობაც მას უნდა დავაკისროთ. ამ შემთხვევაში, თავადვე იქნება დაინტერესებული, იზრუნოს მასწავლებლის კვალიფიკაციაზე, სწორად განსაზღვრავს, ვის დაუდოს ხელშეკრულება, ვინ მოიყვანოს სკოლაში, როგორ ააწყოს სასწავლო პროცესი, რაზე გააკეთოს აქცენტი და ა.შ.*

✔ *სკოლის კარგი მენეჯერი – დირექტორი, სრულად განაპირობებს კარგ სკოლას – ხარისხიან სწავლებას, მოსწავლეთა წარმატებას, კვალიფიციურ პედაგოგს. დირექტორთა ბანკი, სწორედ ისეთი დირექტორების რეზერვს შექმნის, რომელთაც სრულად ექნებათ გააზრებული ეს პასუხისმგებლობა და, რაც მთავარია, შესაბამისი კომპეტენცია ექნებათ. შესაძლოა, ბანკში მოქმედი დირექტორებიც მოხვდნენ.*

✔ *როდესაც სამინისტრომ დაიწყო საუბარი გამოცდების გაერთიანებაზე, ავუხსენი დახურულბოლოიანი დავალებების პრობლემა და ერთმნიშვნელოვნად შევთანხმდით, რომ კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირებით მისაღები გამოცდების ჩანაცვლება არ მოხდება.*

✔ *ჩვენი ორგანიზაციისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს ახალი საგამოცდო სისტემის და მოდელის შექმნა. მთავარია, კარგად მოვიფიქროთ, რას ემსახურება გამოცდების გაერთიანება. თუ უბრალოდ იდეაფიქსია – აუცილებლად ახალი მოდელი შევთავაზოთ საზოგადოებას, ეს არასერიოზული მიდგომაა. თუ საუბარია იმაზე, რომ მოსწავლეები ცოდვა არიან, ამდენ გამოცდას რომ აბარებენ, ამაზეც გეტყვით, რომ გამოსაშვები გამოცდები ჩვენი იდეა არ ყოფილა. თუ ეს ცვლილება კონკრეტულ მიზანს ემსახურება, ნამდვილად ღირს ამაზე მსჯელობა.*



კონფერენცია

სამოქალაქო განათლება – კავშირი ევროპულ მომავალთან

გვერდი 4

გამოსაშვები გამოცდები

ხშირად დასმული კითხვები

გვერდი 5

სპორტი

ქართული სკოლების შვედური მოდელი

გვერდი 10

CMYK

კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

კავკასიის უნივერსიტეტი (კავკასიის სამართლის სკოლა) აცხადებს კონკურსს პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ პროფესორის, ასისტენტის თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ დისციპლინებში:

კერძო სამართალი; საჯარო სამართალი; სისხლის სამართალი; საერთაშორისო სამართალი

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) პროფესორისთვის

• დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;

• ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 6-წლიანი გამოცდილება.

ბ) ასოცირებული პროფესორისთვის

• დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;

• ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

გ) ასისტენტ-პროფესორისთვის

• დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;

• სასურველია დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება.

დ) ასისტენტისთვის

• დოქტორანტი;

• კვალიფიციური პერსონალი, რომლის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით, კერძოდ:

• მაგისტრის ხარისხის მქონე პირი, რომელიც ავტორია პუბლიკაციების და აქვს სამეცნიერო ან/და დარგის განვითარების პროექტში 3-წლიანი მუშაობის გამოცდილება.

• მაგისტრის ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს მოცემულ დარგში მუშაობის, არანაკლებ, 3-წლიანი პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, ან/და დარგში/სპეციალობაში სალექციო კურსის წაკითხვის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება ან/და დარგის განვითარების პროექტში 3-წლიანი მუშაობის გამოცდილება.

• მაგისტრანტი, რომელსაც აქვს დარგში/სპეციალობაში სალექციო კურსის წაკითხვის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

• კურსის/კურსების სილაბუსი/სილაბუსები;

• CV-რეზიუმე;

• პირადობის მოწმობის ასლი;

• კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (საზღვარგარეთ დაცული ხარისხის შემთხვევაში – ავთენტურობაზე საჭირო დოკუმენტაცია, ხოლო საქართველოში დაცული ხარისხის შემთხვევაში – დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლები;

• სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;

• გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;

• სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:

I ეტაპი – წარმოდგენილი დოკუმენტების გადარჩევა; II ეტაპი – პრეზენტაცია; III ეტაპი – კონკურსის შეჯამება.

დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, გამოაგზავნოთ მითითებული დოკუმენტები, შემდეგ მისამართზე: hr@cu.edu.ge; sshengelia@cu.edu.ge

გთხოვთ, საგნის დასახელების ველში მიუთითოთ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის და დისციპლინის სახელწოდება!

საბუთების მიღება: 2014 წლის 22 ივნისიდან 26 ივლისის ჩათვლით

კავკასიის უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, გადაამოწმოს თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია და დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან.

სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის

განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე და 35-ე მუხლების საფუძველზე, შ.პ.ს „სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტში“, 2015 წლის 21 მაისიდან, ცხადდება ღია კონკურსი პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად, შემდეგი მიმართულების/დარგების მიხედვით:

ა) სამართლის მიმართულებით კერძო სამართლის დარგში, პროფესორი – ერთი ვაკანსია;

ბ) სამართლის მიმართულებით სისხლის სამართლის დარგში, პროფესორი – ერთი ვაკანსია;

გ) სამართლის მიმართულებით საჯარო სამართლის დარგში, პროფესორი – ერთი ვაკანსია;

დ) სამართლის მიმართულებით კერძო სამართლის დარგში, ასოცირებული პროფესორი – ერთი ვაკანსია;

ე) სამართლის მიმართულებით სისხლის სამართლის დარგში, ასოცირებული პროფესორი – ერთი ვაკანსია;

ვ) სამართლის მიმართულებით საჯარო სამართლის დარგში, ასოცირებული პროფესორი – ერთი ვაკანსია;

ზ) სოციალური მეცნიერებების მიმართულებით საერთაშორისო ურთიერთობების დარგში, პროფესორი – ორი ვაკანსია;

თ) სოციალური მეცნიერებების მიმართულებით საერთაშორისო ურთიერთობების დარგში, ასოცირებული პროფესორი – ორი ვაკანსია.

აკადემიური პერსონალის საკონკურსო კრიტერიუმებია:

ა) აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი;

ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

გ) შესაბამისი მიმართულებისათვის აქტუალური სამეცნიერო პუბლიკაციები.

საკონკურსო მოთხოვნები

პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

ა) აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი – დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის, არანაკლებ, 6 წლის გამოცდილება;

გ) აქტუალური სამეცნიერო პუბლიკაციები – კონკურსანტის მიერ არჩეული შესაბამისი დარგის თემატიკით, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, სტატიები, მონოგრაფიები ან სახელმძღვანელოები.

ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

ა) აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი – დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის, არანაკლებ, 3 წლის გამოცდილება;

გ) აქტუალური სამეცნიერო პუბლიკაციები – კონკურსანტის მიერ არჩეული შესაბამისი დარგის თემატიკით, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, სტატიები, მონოგრაფიები ან სახელმძღვანელოები.

საკონკურსო დოკუმენტაცია

აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთა საბუთების მიღების ვადაა **2015 წლის 22 ივნისიდან 2015 წლის 3 ივლისის ჩათვლით**. კონკურსი ჩატარდება 2015 წლის 9 ივლისს.

საბუთების მიღება იწარმოებს უნივერსიტეტის კანცელარიაში, **დილის 10 საათიდან 17 საათის ჩათვლით**, შემდეგ მისამართებზე:

ა) ქ. გორი, ცხინვალის გზ. №9;

ბ) ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ.№9Ა.

საბუთების ელექტრონული მიღება იწარმოებს, ასევე, ელექტრონული ფოსტის – info@sukhishvili.edu.ge – მეშვეობით.

აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) შევსებული საკონკურსო განაცხადი (ბეჭდვითი ფორმით);

ბ) ავტობიოგრაფია (CV) (ელექტრონული და ბეჭდვითი ფორმით);

გ) საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი დარგის სასწავლო კურსის სილაბუსი/სილაბუსები (ელექტრონული და ბეჭდვითი ფორმით);

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, სტატიები, მონოგრაფიები ან სახელმძღვანელოები;

ზ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების ასლი;

თ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3x4.

აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველმა, სასურველია, წარმოადგინოს სხვა დოკუმენტაცია (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა; მონაწილეობები სამეცნიერო კონფერენციებში, ექსპერიმენტებსა და ექსპედიციებში; ადმინისტრაციული და აკადემიური თანამდებობები აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში, ამაღლებული კვალიფიკაციები, უცხო ენებისა და კომპიუტერული პროგრამების ცოდნა, სამეცნიერო უნივერსიტეტების საბჭოების, სარედაქციო კოლეგიების, კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა, სექციის ხალმძღვანელობა და სხვა; მიმართულების განვითარების კონცეფცია).

ვადის ან მოთხოვნილი პირობების დარღვევით წარდგენილი განცხადება და დოკუმენტაცია კონკურსში მონაწილეობის შესახებ რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

კონკურსის შედეგები დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, გორის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის №30.

საკონკურსო კომისიის სამდივნოს საკონტაქტო რეკვიზიტებია:

ა) ქ. გორი – 0 (370) 27 05 57;

ბ) ქ. თბილისი – 0 32 2 51 94 95.

შ.პ.ს „სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის“ საკონკურსო კომისია

მედიასემინარი

ნაადრევად დაანონსებული ცვლილებები და მათ განსახორციელებლად არსებული რეალური შესაძლებლობები

***შეიცვლება თუ არა სკოლის დირექტორების დანიშვნის წესი და გაერთიანდება თუ არა გამოსაშვები და ერთიანი ეროვნული გამოცდები – ეს საკითხები შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული მედიასემინარის ძირითად სიახლეებად მივიჩნიეთ (მასწავლებელთა გარე დაკვირვების მოდელთან ერთად, რომლის შესახებაც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში შემოგთავაზეთ მასალა) და დღევანდელ წერილში სწორედ ამ საკითხებზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას. საჯარო სკოლის დირექტორების შერჩევის და დანიშვნის დღეს არსებული მოდელი საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს და ოპონენტი მეტი ჰყავს, ვიდრე მომხრე. ოპონენტები არაგამჭვირვალედ და ბევრი ხარვეზის შემცველ მოდელად მიიჩნევენ. დირექტორების დანიშვნის წესის შესახებ პარლამენტში, უმცირესობის მიერ, ინიცირებული იყო კანონპროექტი, რომელიც პირველივე მოსმენაზე ჩავარდა.*

მედიასემინარზე მაია მიმინოშვილმა დირექტორების შეფასებისა და შერჩევის ახალ მოდელზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ გამოწვევას განათლებისა და მეცნიერების მინისტრიც დადებითად შეხვდა. დამეთანხმებით, საინტერესოა, რას ფიქრობს ცენტრის ხელმძღვანელი, როგორ უნდა ხდებოდეს საჯარო სკოლებში დირექტორის შერჩევა და რა პასუხისმგებლობა ეკისრება მას? მართალია, ეს ყველაფერი, ჯერჯერობით, იდეის დონეზეა, თუმცა, როგორც ქალბატონი მაია აცხადებს, გარკვეული მონახაზი უკვე არსებობს, რომელზეც ცენტრი სერიოზულად ფიქრობს და მუშაობს.

მეორე, ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე – გაერთიანდება თუ არა გამოსაშვები და ერთიანი ეროვნული გამოცდები, მთელი საქართველო მას შემდეგ ალაპარაკდა, რაც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ერთიანი ეროვნული გამოცდების მოდელის შესაძლო ცვლილებაზე ისაუბრა. რა ცვლილებებს უნდა ველოდეთ რეალურად – გთავაზობთ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის მაია მიმინოშვილის მოსაზრებებს.

როგორი შეიძლება იყოს დირექტორების შერჩევისა და შეფასების ახალი სისტემა

ჩვენი ჯგუფი მუშაობს და ფიქრობს დირექტორების შერჩევისა და შეფასების სისტემაზე. მთავარი მიზანია ამ სისტემის ჩამოყალიბება, ფორმის მიცემა და სამინისტროსთვის წარდგენა. განხორციელდება თუ არა რეალურად, ეს სამინისტროს გადასაწყვეტია. ვფიქრობთ დირექტორების ორ ნაწილად გაყოფას – პოტენციური დირექტორები და მოქმედი დირექტორები. ზოგადად ჩარჩოზე ჩამოყალიბებული ვართ. ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, შეიქმნას პოტენციური დირექტორების ბანკი, ვისაც დირექტორობის სურვილი აქვს და მონაწილეობას მიიღებს შერჩევა-შეფასების პროცესში. მაგრამ, ბუნებრივია, პარალელურად, არსებული დირექტორების შერჩევა და შეფასებაც უნდა მოხდეს. მხოლოდ გარკვეული კანონების ცოდნითა და ტესტებით კომპეტენტურობის განსაზღვრა, ჩემი აზრით, არასერიოზულია. დირექტორი სერიოზული ორგანიზაციის – სკოლის მენეჯერია, მენეჯერული უნარები კი მხოლოდ კოგნიტური უნარების შეფასებას არ ნიშნავს. არანაკლებ მნიშვნელოვანია არაკოგნიტური უნარების შეფასება, სწორედ ამაზე ვმუშაობთ ახლა, როგორ მოხდეს არაკოგნიტური უნარების შესწავლა-შეფასება.

როგორ უნდა შეაფასო დირექტორი, მისი მენეჯერული უნარები, თუ მას არ აქვს სრული თავისუფლება. ეს შეუძლებელია, რადგან, არსებული კანონმდებლობით, ის შებოჭილია, დამოუკიდებლად მერხიც ვერ გადაუტანია ერთი ადგილიდან მეორეზე. რა კრიტერიუმებით უნდა დავადგინოთ არის თუ არა ეს ადამიანი კარგი მენეჯერი (არსებულ დირექტორებს ვგულისხმობ), თუკი მას საკუთარი უნარების რეალურად გამოყენების შესაძლებლობა არ აქვს? როგორია, ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს როლი? ის მთავარს უნდა აფასებდეს და ამოწმებდეს – აღწევს თუ არა კონკრეტული სკოლა ყველაზე მნიშვნელოვან მიზანს – მოსწავლის დამაკმაყოფილებელ მიღწევებ, რაც, რასაკვირველია, მასწავლებლის კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული. დირექტორს უნდა მივანდოთ შიდა სამზარეულო და, ამავდროულად, მიღწეულ შედეგებზე პასუხისმგებლობაც მას უნდა დავაკისროთ. ამ შემთხვევაში, თავადვე იქნება დაინტერესებული, იზრუნოს მასწავლებლის კვალიფიკაციაზე, სწორად განსაზღვრავს, ვის დაუდოს ხელშეკრულება, ვინ მოიყვანოს სკოლაში, როგორ ააწყოს სასწავლო პროცესი, რაზე გააკეთოს აქცენტი და ა.შ. უნდა იცოდეს, რომ წლის ბოლოს ან გარკვეული პერიოდის შემდეგ, მოსწავლეების შედეგები შეფასდება და მას აუცილებლად ჰკითხავენ, მაგალითად, რატომ აქვთ მოსწავლეებს ცუდი მოსწრება გეოგრაფიაში? შესაძლოა, არსებობს ობიექტური მიზეზი, რომელსაც დირექტორი ვერ მოუვლის. მაგალითად, ბიუჯეტი არ ჰყოფნის, რომ იყიდოს რუკები ან სხვ. ამ პრობლემის მოგვარება, რა თქმა უნდა, სახელმწიფომ უნდა აიღოს თავის თავზე. თუ სახელმწიფო, თავის მხრივ, ყოველმხრივ დაეხმარება დირექტორს (მისცემს ვადას და ეტყვის, ახლა შენი მენეჯერული უნარები გამოიყენე, ყველაფერი გააკეთე იმისთვის, რომ მომავალ წელს, გეოგრაფიაში, მოსწავლეებმა გაუმჯობესებული შედეგები აჩვენონ) და ის თავს ვერ გაართმევს, უნდა დადგეს მისი არყოფნის საკითხი. ჩემი აზრით, ასეთი მიდგომა გამოასწორებს სკოლებში არსებულ ვითარებას.

ბოლო შეხვედრისას მინისტრთან ამ საკითხთან დაკავშირებით ვისაუბრე და, ჩემდა საბედნიეროდ, მან ინტერესი გამოხატა და თქვა, რომ ძალიან კარგი იქნება, თუ მას ექნება გარკვეული მონახაზი, რის მიხედვითაც მოხდება არსებული დირექტორების შეფასება. მთავარია, ჩვენ ჩამოვყალიბდეთ, რა და როგორ უნდა განხორციელდეს და ამის შემდეგ, როგორც მინისტრს დავპირდი, სამინისტროში გავაკეთებთ პრეზენტაციას.

ბუნებრივია, პედაგოგთა პროფესიული განვითარების სქემაში დირექტორებზე საუბარი არ არის, რადგანაც ის მასწავლებელთა კვალიფიკაციას ეხება. დირექტორების შერჩევა კი ისევ თვითდინებით მიდის.

საიდან დავიწყოთ? – ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან რთულია, მაგრამ შემიძლია ჩემი მოსაზრება გაგიზიაროთ. უმნიშვნელოვანესია მასწავლებლის კვალიფიკაციაზე ზრუნვა, დახმარება და არა დასჯა. არანაკლებ მნიშვნელოვანია კვალიფიციური დირექტორების შერჩევა. პირადად მე, აუცილებლად გავაკეთებდი აქცენტს სკოლაზე და დირექტორზე. ჯერ ერთი იმიტომ, რომ საუბარია 2000 ადამიანზე (70 ათასი მასწავლებელი გვყავს და სულ რაღაც 2000 დირექტორი), რომლებიც უმნიშვნელოვანესი როლის მატარებლები უნდა იყვნენ. დირექტორი მენეჯერია, რომელსაც სკოლა აბარია მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ერთად, ინფრასტრუქტურითა თუ რესურსებით. მან უნდა მოახერხოს და სათანადო უნარები გამოიყენოს იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი გამართოს. როგორია სასწავლო გეგმა – კურიკულუმი, ამას არ ვეხები და ვამბობ, რომ სკოლის დირექტორს ძალიან სერიოზული პასუხისმგებლობისა და თანამშრომლობის განცდა უნდა გაუჩინო, რომ სახელმწიფო მას ყველანაირად დაეხმარება, რათა თავის წილ პასუხისმგებლობას კარგად გაართვას თავი. თუ დირექტორი დაკისრებულ მოვალეობას კარგად ასრულებს, მისი გადასაწყვეტი უნდა იყოს, ვინ მოიყვანოს სკოლაში, მაგალითად, ქართულის მასწავლებლად, მთავარია, შედეგი აჩვენოს. მაგალითად, აშშ-ში პროექტს ჰყავდა ოპონენტები, რომლებიც აქცენტს გამოცდებზე კი არა, მოსწავლეთა მიღწევების შეფასებებზე აკეთებდნენ. თუ შენ გიჭირავს ბერკეტი იმისა, რომ 2000 სკოლის მოსწავლეთა მიღწევები გარკვეული პერიოდულობით შეაფასო და ნახო, რომ ერთ-ერთი სკოლის ერთ-ერთი კლასის ისტორიის სწავლებაში პრობლემაა, მოსწავლეებს ცუდი შედეგები აქვთ, ბუნებრივია, პასუხი დირექტორს უნდა მოსთხოვო. საბოლოო მიზანი ხომ მოსწავლეთა შედეგებია და არა მასწავლებლის კვალიფიკაცია. ამიტომ, აუცილებლად დირექტორთან ერთად უნდა დავგეგმოთ, რა ვაკეთოთ – რაც სახელმწიფოს ეხება, სახელმწიფომ უნდა გააკეთოს, რაც დირექტორს – დირექტორმა. თუ ცუდი შედეგები მასწავლებლის დაბალი კვალიფიკაციის გამოა, მაშინ, რასაკვირველია, დირექტორმა მისი კვალიფიკაციის ამაღლებაზე უნდა იზრუნოს. ამ შემთხვევაში, სახელმწიფომ მას „კუდში დევნა“ კი არ უნდა დაუწყოს, რატომ გააფორმა ამ მასწავლებელთან ხელშეკრულება, არამედ იმაზე, რომ მოსწავლეთა შედეგები გააუმჯობესოს. თუ გარკვეული პერიოდის შემდეგ, სკოლაში მდგომარეობა არ გამოსწორდა, რა თქმა უნდა, პასუხს დირექტორს მოსთხოვენ, რადგან ის არ აღმოჩნდა კარგი მენეჯერი. სკოლის კარგი მენეჯერი – დირექტორი, სრულად განაპირობებს კარგ სკოლას – ხარისხიან სწავლებას, მოსწავლეთა წარმატებას, კვალიფიციურ პედაგოგს. დირექტორთა ბანკი, სწორედ ისეთი დირექტორების რეზერვს შექმნის, რომელთაც სრულად ექნებათ გააზრებული ეს პასუხისმგებლობა და, რაც მთავარია, შესაბამისი კომპეტენცია ექნებათ. შესაძლოა, ბანკში მოქმედი დირექტორებიც მოხვდნენ.

დარჩება თუ არა ერთიანი ეროვნული გამოცდების არსებული მოდელი

გამოსაშვები გამოცდების დღეს არსებულ ფორმატში ღია დავალებები ვერაფრით ვერ დაემატება. ალგორითმი აგებულია ისე, რომ ყოველ ეტაპზე აფასებს მოსწავლეს და მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ამ კონკრეტული დავალების შედეგი მიიღოს. წინაღმდეგი ვარ, მხოლოდ და მხოლოდ დახურულბოლოიანი დავალებებით მივიღოთ მოსწავლე უმაღლეს სასწავლებელში. ყველაფერ დანარჩენს თავი რომ დავანებოთ, კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირებით, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, წერითი მეტყველება არ ფასდება. როგორ წარმოგიდგენიათ მომავალი ჟურნალისტი, მომავალი ჰუმანიტარი, ფილოლოგი მიიღოს უმაღლესმა სასწავლებელმა ისე, რომ არ შეუმოწმოს წერითი მეტყველება?

როდესაც სამინისტრომ დაიწყო საუბარი გამოცდების გაერთიანებაზე, ავუხსენი დახურულბოლოიანი დავალებების პრობლემა და ერთმნიშვნელოვნად შევთანხმდით, რომ კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირებით მისაღები გამოცდების ჩანაცვლება არ მოხდება. იქ აუცილებლად იქნება ღია დავალებები. ალბათ, ყველა დამეთანხმებით, რომ ჰუმანიტარის შეფასება წერითი მეტყველების შეფასების გარეშე შეუძლებელია. მეტიც, უცხო ენის ტესტში დავამატეთ მოსმენის ნაწილი და მომავალში აუცილებლად დაემატება კიდევ ერთი კომპონენტი – ლაპარაკის ნაწილიც. აქედან გამომდინარე, როცა დაიწყო საუბარი იმაზე, რომ შეიძლება თუ არა გამოცდების გაერთიანება, სამინისტრო და ჩვენი ცენტრი შევთანხმდით, რომ აუცილებლად უნდა იყოს ღია დავალებებიც და უნდა იყვნენ სათანადო კვალიფიკაციის მქონე გამსწორებლებიც და ა.შ.

ჩვენი ორგანიზაციისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს ახალი საგამოცდო სისტემის და მოდელის შექმნა. მთავარია, კარგად მოვიფიქროთ, რას ემსახურება გამოცდების გაერთიანება. თუ უბრალოდ იდეაფიქსია – აუცილებლად ახალი მოდელი შევთავაზოთ საზოგადოებას, ეს არასერიოზული მიდგომაა. თუ საუბარია იმაზე, რომ მოსწავლეები ცოდვა არიან, ამდენ გამოცდას რომ აბარებენ, ამაზეც გეტყვით, რომ გამოსაშვები გამოცდები ჩვენი იდეა არ ყოფილა. თუ ეს ცვლილება კონკრეტულ მიზანს ემსახურება, ნამდვილად ღირს ამაზე მსჯელობა.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებს თუ გადავხედავთ, სადაც ცენტრალიზებული საგამოცდო სისტემები კარგად და ეფექტურად მუშაობს (მაგალითად ფინეთის საგამოცდო სისტემას მოვიყვან), აუცილებლად ვნახავთ, რომ იქ ე.წ. „მატურა“ გამოცდებია, რომელიც ძალიან ეფექტურად მუშაობს. მარტივად, რომ ვთქვათ, „მატურა“ გამოცდები გულისხმობს გამოსაშვები გამოცდების შედეგების გამოყენებას უმაღლეს სასწავლებლებში ჩასარიცხად. არ გვჭირდება ველოსიპედის გამოგონება, უბრალოდ, შეგვიძლია გადავიდეთ „მატურა“ გამოცდების სისტემაზე, მაგრამ შევეცდები ავხსნა, რატომ არ შეიძლება ამ სისტემაზე გადასვლა.

პირველად, როდესაც ჩვენს ქვეყანაში, 2005 წელს, ერთიანი ეროვნული გამოცდები შემოვიღეთ, 2004 წლიდან დავიწყეთ მორგება სრულიად ახალ პრინციპებზე. პირველი და ძალიან მნიშვნელოვანი იყო უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების პრინციპი. უმაღლესი სასწავლებელი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული აბიტურიენტთა რაოდენობაზე– თუ საჭიროზე ნაკლები აბიტურიენტი მიიღო, დახურვის საშიშროების წანაშე დგება, რადგან ფინანსურად ძალიან გაუჭირდება; მეორე მნიშვნელოვანი პრინციპია აკრედიტაცია – აკრედიტაციის ცენტრი კონკრეტულ უმაღლეს სასწავლებელს უსაზღვრავს საკონკურსო ადგილების რაოდენობას, მაგალითად, თუ 100 ადგილი განუსაზღვრა, ვერაფრით ვერ მიიღებს 101-ს. გავითვალისწინეთ ეს ორი ძირითადი პრინციპი – პირველ რიგში, დავხმარებოდით უმაღლეს სასწავლებლებს ადგილების იმ რაოდენობის ათვისებაში, რომელიც მათთვისაა გამოყოფილი და პლუს გაგვეკეთებინა ისე, რომ სტუდენტისთვის ეს სისტემა, რაც შეიძლება, ეფექტური ყოფილიყო. აბიტურიენტებს უსასრულო რაოდენობის განაცხადის გაკეთების შესაძლებლობა მიეცათ (მეორე საკითხია კარგია თუ ცუდი). ერთადერთი, რაც მათ მოეთხოვებათ, პრიორიტეტული ჩამონათვალის მომზადებაა – უნდა გვითხრან, ყველაზე მეტად სად სურთ სწავლის გაგრძელება. ეს იყო ჩვენ მიერ შეთავაზებული სისტემა, რომელიც დღემდე მუშაობს. დღეს, როცა არაფერი არ იცვლება – არც უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების პრინციპი, არც აკრედიტაციის პრინციპი – როგორ შევთავაზოთ საზოგადოებას ე.წ. „მატურა“ გამოცდები. იმისთვის, რომ „მატურა“ გამოცდებმა, როგორც უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხმა გამოცდებმა, იმუშაოს, უმაღლესმა სასწავლებელმა წინასწარ უნდა გამოაცხადოს, როგორი შედეგების აბიტურიენტი სჭირდება, მაგალითად, ფიზიკაში უნდა ჰქონდეს არანაკლებ 10 ქულა ან ქიმიაში – 9 ქულა და ა.შ. ამ შემთხვევაში მოხდება კონკრეტულად ის, რომ უმაღლესი სასწავლებელი წინასწარ ვერაფრით ვერ განსაზღვრავს საკონკურსო ადგილების ზუსტ რაოდენობას, არც აკრედიტაციის სამსახურის მიერ განსაზღვრული ადგილები დაემთხვევა რეალურ შედეგს. რეალურად ჩასარიცხი აბიტურიენტის რაოდენობა შეიძლება აღმოჩნდეს 20 ან 150. ასეთ შემთხვევაში რას იზამს უმაღლესი სასწავლებელი, როგორ ჩარიცხავს? მეორე წინააღმდეგობაა ისიც, რომ აბიტურიენტი, რომელიც თავის მონაცემებს რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში გააგზავნის, შეიძლება ერთდროულად ხუთმა უმაღლესმა ჩარიცხოს, რასაკვირველია, ხუთივეში ვერ ისწავლის, აირჩევს ერთს, დანარჩენი ოთხი კი კარგავს აბიტურიენტს, რომელიც გათვალისწინებული ჰყავდა და ამიტომ სხვა არ ჩარიცხა. როგორ მოიქცეს უმაღლესი სასწავლებელი, მისთვის ხომ ფინანსურად სერიოზულად წამგებიანია ვაკანტური ადგილის დარჩენა.

არის თუ არა ეს მოგვარებადი? რა თქმა უნდა, არის და გეტყვით, რომ ძალიან მარტივად მოსაგვარებელია. ამისთვის უნდა შეიქმნას ჯგუფი, რომელიც სერიოზულად იფიქრებს და იმუშავებს უმაღლესი სასწავლებლის დაფინანსების სისტემის შეცვლაზე. უმაღლეს სასწავლებელს არ უნდა ჰქონდეს იმის შიში, რომ 100 აბიტურიენტის ნაცვლად მივა 20, მან აქცენტი ხარისხზე უნდა გააკეთოს და არა რაოდენობაზე, მას პროფესორ-მასწავლებელი 20-სთვისაც ისევე სჭირდება, როგორც 100 სტუდენტისთვის, ისევე სჭირდება ლაბორატორია თუ სხვა შესაბამისი სასწავლო რესურსი. ამიტომ უმაღლესის დაფინანსებას სტუდენტის რაოდენობა არ უნდა განსაზღვრავდეს.

აქვე მინდა შევეხო დაფინანსების ოდენობასაც, ძალიან ბევრს ვფიქრობდი, რის მიხედვით დადგინდა 2250 ლარი? შეიძლება ერთი და იგივე თანხა ღირდეს ნებისმიერი სტუდენტის მომსახურება? მათემატიკოსი, რომელსაც უტრირებულად რომ ვთქვათ, ქაღალდის და ფანქრის მეტი არაფერი სჭირდება და ექიმი, რომელსაც პროზექტურიდან დაწყებული, საავადმყოფოთი და პაციენტით დამთავრებული, უამრავი რამ სჭირდება. შეიძლება, მაგალითად, მომავალი რეჟისორის დაფინანსება იგივე ჯდებოდეს (თეატრის და კინოს უნივერსიტეტი რა დღეშია ამის გამო ყველამ ვიცით), რაც ნებისმიერი სხვა დარგის სპეციალისტის? მომავალმა რეჟისორმა სადიპლომო ფილმი მაინც ხომ უნდა გადაიღოს, რისთვისაც ოპერატორი, კამერა, გადასაღები მოედანი სჭირდება. ისიც 2250 ლარით უნდა ფინანსდებოდეს?! იცით, რა ქნა გიორგი მარგველაშვილმა? მოიგონა რაღაც თეორიული ფაკულტეტი, რომელიც მომხიბლავია აბიტურიენტებისთვის და აბარებენ. შესაბამისად, სტუდენტებს შემოაქვთ თანხა, შეიძლება გრანტიც მოიპოვონ, ამ თანხას კი შემდეგ რეჟისორებს ახმარენ. ასეთ რამეებს სწორედ არსებული რეგულაციების გამო აკეთებენ. უმაღლესი სასწავლებლებისთვის საბაზო დაფინანსების წილი ძალიან მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

ჩემთვის გაცილებით მტკივნეულია უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების სისტემის შეცვლა, იმიტომ, რომ სწორედ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელსაც ერგება საგამოცდო მოდელი. მხოლოდ იმაზე საუბარი, რომ გამოცდები გადავაკეთოთ, სრულიად არასერიოზულია. გარკვეული მონახაზი მაინც თუ გვეცოდინება, როგორი შეიძლება იყოს დაფინანსების პრინციპი, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვიმუშაოთ და ძალიან მალე შემოგთავაზოთ გამოცდების ახალი სისტემა. თუ ეს ყველაფერი არ მოგვარდა, მაშინ რას მოვარგოთ ახალი საგამოცდო სისტემა?!

ლალი ჯელაძე

კონფერენცია

სამოქალაქო განათლება – კავშირი ევროპულ მომავალთან

ანა ფირცხალაიშვილი

16 მაისს სამოქალაქო განათლების პედაგოგთა მეოთხე წლიური კონფერენცია-გამოფენა გაიმართა, რომელიც ორგანიზებული იყო სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში. პროგრამას ახორციელებს ორგანიზაცია PH International კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრთან, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმთან და რეგიონულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობით. კონფერენცია-გამოფენის მხარდამჭერია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, ხოლო პროგრამის („მომავლის თაობა“) ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID).

პროგრამა „მომავლის თაობის“ წლის შედეგები და საქმიანობა წარადგინა პროგრამის დირექტორმა **მარინა უშვერიძემ**. მან დაწვრილებით ისაუბრა სამოქალაქო განათლების მნიშვნელობის შესახებ ქვეყნის დემოკრატიული განვითარების საქმეში და აღნიშნა, რომ საგნის ხარისხიანი სწავლება პირდაპირ კავშირშია ჩვენი ქვეყნის ევროპულ მომავალთან. ამ ოთხ წელიწადში ფორუმის ძალისხმევით გადამზადებული 441 პედაგოგი საქართველოს ყველა რეგიონში წარმატებით უძღვება მნიშვნელოვან საქმეს, მოსწავლე ახალგაზრდობის აღჭურვას იმ უნარ-ჩვევებით, რაც მათ საზოგადოებაში ინტეგრაციასა და იმ აქტივობების განხორციელებაში წაადგებათ, რაც უკეთესობისკენ შეცვლის გარემო პირობებს. ამისათვის მათ მეტი მხარდაჭერა სჭირდებათ სახელმწიფოსგან – პირველ რიგში ესაა განახლებული სახელმძღვანელოებითა და სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა, რის დეფიციტს ნამდვილად არ განიცდიან სამოქალაქო განათლების პედაგოგები. ასევე აღინიშნა ის პროექტები და აქტივობები, რომლებიც ამ ერთი წლის განმავლობაში განახორციელეს ფორუმის მონაწილე პედაგოგებმა, პრობლემები, რომელთა გადალახვაც ერთიანი ძალისხმევით იგეგმება და ამოცანები, რომლებიც სამოქალაქო განათლების სწავლების გასაუმჯობესებლად დაისახა.

მარინა უშვერიძე: *„სამოქალაქო განათლების ფორუმი 2013 წელს ოფიციალურად დარეგისტრირდა. მანამდე ეს იყო პედაგოგთა არაფორმალური გაერთიანება, რომელიც მათსავე საჭიროებებს პასუხობდა – მეტი შესაძლებლობა ჰქონოდათ პროფესიული განვითარებისა და ხარისხიანი სასწავლო რესურსების შექმნის კუთხით. ამას, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა სჭირდება და ის ეფექტური შედეგები, რაც ჩვენ დღეისათვის გვაქვს, სწორედ ამ მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი.*

2012 წელს, პირველ კონფერენციაზე, ჩვენმა პედაგოგებმა გამოთქვეს სურვილი, რომ სამოქალაქო განათლებაში ეფექტურობა მაშინ იქნებოდა მიღწეული, თუ ეროვნულ სასწავლო გეგმაში შევიდოდა ცვლილება ამ საგნის სწავლების ადრეულ ასაკში დაწყების თაობაზე. თუ ბავშვმა თავიდანვე არ გაითავისა გარკვეული ღირებულებები, IX კლასში ამაზე საუბარი მართლაც გვიანია. კარგია, რომ განათლების სამინისტროში ახლა მიმდინარეობს ამ საკითხზე მუშაობა.

რაც შეეხება დღევანდელ კონფერენციას, თვალშისაცემი პედაგოგთა რაოდენობრივი ზრდაა, გასულ წელთან შედარებით 2-ჯერ მეტი, 400 მასწავლებელი მონაწილეობს კონფერენციის მუშაობაში. ჩვენთან არიან მაღალმთიანი რეგიონებისა და მცირეკონტინგენტიანი სკოლების წარმომადგენლები, რაც მნიშვნელოვან მიღწევად მიმაჩნია. დღეისათვის პროგრამა „მომავლის თაობა“ 480 სკოლას მოიცავს, ანუ საქართველოს სკოლების, დაახლოებით, 20%-ს, წინა პროექტში (შარშან დასრულდა) 740 სკოლა იყო ჩართული. გამოდის, რომ USAID-ის დაფინანსებითა და განათლების სამინისტროს ხელშეწყობით, ჯამში, საქართველოს სკოლების თითქმის ნახევართან ვიმუშავეთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი მოსწავლეები კვალიფიციური სახელმძღვანელოებით იყვნენ უზრუნველყოფილი – 2667 სახელმძღვანელო უკვე გადავეცით სკოლებს, მიმდინარეობს ახლებზე მუშაობა, შარშან ძალიან საინტერესო წიგნი გამოვიდა „სამართლის ქალაქი“; დაგროვდა გარკვეული გამოცდილება – პროგრამამ 100000-მდე ბენეფიციარი მოიცვა, რომელთა საქმიანობა 829 მედიასაშუალებამ გააშუქა.

ჩვენი საქმიანობის შემადგენელი ნაწილია ისიც, რომ ივლისში შეიქმნება და იმუშავებს „პროფესიული გაზიარების ჯგუფები“. ეს საერთაშორისო მეთოდოლოგიაა. ჩვენთან ასეთი პრაქტიკაა, თუ სასწავლო პროცესში რაიმე კარგად არ გამოგდის, სააშკარაოზე მას არასოდეს გამოიტან. პროფესიული გაზიარების ჯგუფს მუშაობის დადგენილი წესი (პროტოკოლი) აქვს, რომლის დაცვითაც უნდა იმუშაოს. ეს იქნება რეგიონის სამოქალაქო განათლების 10-20 პედაგოგისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც სწავლების პროცესში წამოჭრილ პრობლემებსაც განიხილავს და გამოცდილებასაც გაუზიარებენ ერთმანეთს, ანუ ეს იქნება აზრთა გაცვლა-გამოცვლა არა ერთმანეთის გასაკრიტიკებლად, არამედ პროფესიული განვითარებისთვის.

ამჟამად სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი 720 მასწავლებელს აერთიანებს და გაწევრიანება გრძელდება“.

ფორუმის მონაწილეებს სიტყვით მიმართა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ**, რომელმაც ტრიბუნა, ძირითადად, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემით გათვალისწინებული საკვანძო საკითხების განმარტებისთვის გამოიყენა. *„მინდა მადლობა გადაგიხადოთ თქვენი შრომისთვის. სამოქალაქო განათლება დამოუკიდებელი და ქვეყნისათვის ძალიან მნიშვნელოვანი საგანია. ამიტომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში კიდევ უფრო განვითარდება ეს კომპონენტი, რათა კონკურენტუნარიანი გავხდეთ საგანმანათლებლო ბაზარზე. გისურვებთ წარმატებებს. მჯერა, რომ დღევანდელი ფორუმი გარკვეული ეფექტის მომტანი იქნება“* – დასძინა მინისტრმა.

რაც შეეხება სამოქალაქო განათლების კომპონენტის გაძლიერებას, ამ მიმართულებით სამინისტროში მუშაობა მართლაც მიმდინარეობს. სწორედ მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია ფორუმის მონაწილეებს განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა, განათლების ექსპერტმა **ნიკა სილაგაძემ**. აღინიშნა, რომ ცვლილება განხორციელდება საათობრივ ბადეში და საგნის სწავლება, სავარაუდოდ, III-IV კლასიდან დაიწყება, „მე და საზოგადოება“ – ასეთი იქნება სახელმძღვანელოს სახელწოდება, V-VI კლასებისთვის – „ჩვენი საქართველო“, ხოლო მაღალ საფეხურზე – „მოქალაქე“.

ითქვა სტრუქტურული ხასიათის ცვლილებებისა და სამოქალაქო და სოციალურ აქტივობებზე აქცენტის გაკეთების აუცილებლობის შესახებაც. სავარაუდოდ, ცვლილებები 2016-21 წლებში განხორციელდება და განხილვის პროცესში აქტიურად ჩაერთვებიან სამოქალაქო განათლების გამოცდილი პედაგოგები.

ფორუმის საქმიან ნაწილს სამოქალაქო განათლების 2014 წლის საუკთესო პედაგოგთა დაჯილდოების ცერემონია მოჰყვა. სამ ნომინაციაში – რეგიონის სამოქალაქო განათლების წლის საუკეთესო პედაგოგი; რეგიონის სამოქალაქო განათლების წლის წარმატებული პედაგოგი; რეგიონის სამოქალაქო განათლების კლუბის წლის საუკეთესო მეურვე – საქართველოს მასშტაბით, 27 პედაგოგი დაჯილდოდა.

ფორუმის მონაწილეებმა ინტერესით დაათვალიერეს სამოქალაქო განათლების პროექტების ამსახველი ფოტოგამოფენა, სადაც თვალსაჩინოა ქალაქებსა თუ სოფლებში არსებული პრობლემების მოგვარებისთვის მოსწავლეთა ძალისხმევა. „ჩვენ ვიმსახურებთ ადგილს ევროპულ ოჯახში“ – ასეთია ერთ-ერთი ფოტოკოლაჟის საერთო სათაური, რომელიც ოტია იოსელიანის სახელობის წყალტუბოს №1

საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ განხორციელებულ პროექტებზე მოგვითხრობს. ფორუმზე ამ სკოლის პედაგოგი **ფიქრია გიორხელიძეც** დააჯილდოვეს. *„2012 წელს სკოლაში დაარსდა სამოქალაქო განათლების კლუბი „ერთობა“, რომლის მეურვეც მე ვარ. კლუბური საქმიანობა, სამოქალაქო განათლების სწავლება დიდად უწყობს ხელს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას; ახალგაზრდები ინიციატივიანები, უფროსებზე მეტად მობილიზებული ხდებიან საქმის კეთებისას. კლუბში მრავალი აქტივობა განვახორციელეთ, რამდენიმე საინტერესო პროექტიც. განსაკუთრებით ნატოს საინფორმაციო ცენტრისა და ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობას გამოვყოფ. 82 მონაწილეს შორის საუკეთესო ათეულში მოვხდვით. ლიტვის საელჩომ რიგაში ვიზიტით დაგვაჯილდოვა. იქ გატარებულმა სამმა დღემ (4-6 მაისი) კიდევ ერთხელ დაგვანახა, რატომ უნდა ვისწრაფოდეთ ევროკავშირში გაწევრიანებისათვის“.*

მაგული სეხნიაშვილი, წლის საუკეთესო პედაგოგი: *„ახალდაბისა და გორის №9 საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბების მეურვე ვარ. ჩემმა მოსწავლეებმა ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელეს ეკოლოგიური და ინფრასტრუქტურული მიმართულებით. ისინი ხალისით და მონდომებით, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან თითოეულ ინიციატივას, ახალი პროექტის განხორციელებას. ჩვენი საგნის სწავლების მიზანიც ხომ იმ უნარების ჩამოყალიბებაა, რაც ახალგაზრდებს საზოგადოებაში ინტეგრაციაში დაეხმარება. მე ფორუმის წევრი ვარ და აქ ვსწავლობ მოსწავლეებთან მუშაობის ინოვაციურ მეთოდებს. ძალიან მეამაყება დღევანდელი ჯილდო, კოლეგებთან ერთად, ეს ჩემი მოსწავლეების დამსახურებაცაა“.*

„ჩვენს სფეროში ძალიან ბევრი კარგი პედაგოგია და ვერ გეტყვით რა ნიშნით გამომარჩიეს, თუმცა ძალიან გამეხარდა. ეს დამატებითი მოტივაციაა მომავალში. მოსწავლეებს ვეუბნები, რომ ამ საგნით ჩვენ ვსწავლობთ ცხოვრებას, ვეხებით უამრავ საკითხს, ვცდილობთ რაღაცეების შეცვლას, გაუმჯობესებას. ეს კი ძალიან საინტერესოა, გარდა იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში, შეიძლება სასიცოცხლოდ აუცილებელიც იყოს ვინმესთვის“ – ამბობს ახალქალაქის №3 საჯარო სკოლის პედაგოგი **ჟანა ხაჩატურიანი**.

ბატონი **ვაჟა ქარუხნიშვილიც** დაჯილდოეულთა შორისაა. იგი რუსთავის ორი საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი და კლუბების მეურვეა. განათლებით ქართული სამართლის სპეციალისტი სკოლაში ბავშვების სიყვარულმა და იმის რწმენამ მიიყვანა, რომ ამ საგნის სწავლება სასიცოცხლოდ აუცილებელია ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის. *„ამ სფეროში ბევრი პრობლემა გვაქვს. თითოეული პროექტი ჩვენი მოქალაქეების ცნობიერების ამაღლებას უნდა მოემსახუროს. შემთხვევითი არაა, რომ მსოფლიოში 12 მოთხოვნად პროფესიათა შორის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, ლექტორი ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადია. საგნის ხარისხიანად შესწავლა ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას – ეროვნული ფასეულობების, მსოფლიო ღირებულებების მატარებელი, სახელმწიფო ინტერესების დამცველი ახალგაზრდების აღზრდას. კვირა არ გავა, რომ ღონისძიება არ გვქონდეს. ჩვენი ბავშვები ცნობილი გახდნენ ქალაქში და რეგიონში. ეს პროექტები იმითაც არის კარგი და შედეგიანი, რომ საკლასო ოთახის გარეთ ხორციელდება. ამის გაკეთებას ცოდნა და გამოცდილება სჭირდება, რაც, გარკვეული დოზით, ჩვენს მოსწავლეებს აქვთ. ეს ჯილდოც მათი დამსახურებაა“.*

დღის მეორე ნახევარში კონფერენციის მონაწილეებმა მუშაობა სასემინარო ჯგუფებში გააგრძელეს და მომავალ წლამდე დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

გამოსაშვები გამოცდები

გთავაზობთ გამოსაშვებ გამოცდებთან დაკავშირებით ხშირად დასმულ კითხვებზე პასუხებს

როგორ მუშაობს CAT-ის პროგრამა?

წარმოვიდგინოთ მოსწავლე, რომელიც იწყებს გამოცდის ჩაბარებას. რადგან თავიდან პროგრამას არა აქვს ინფორმაცია მოსწავლის შესაძლებლობის შესახებ, ამ მოსწავლეს ჯერ მისდის სამი შემთხვევით შერჩეული საშუალო სირთულის დავალება. ამ დავალებებზე პასუხების მიხედვით, პროგრამა აკეთებს მოსწავლის უნარის პირველად შეფასებას და შემდეგ დავალებას არჩევს ამ შეფასების მიხედვით. ყოველი შემდგომი პასუხისას ხდება მოსწავლის უნარის შეფასების დაზუსტება და მომდევნო დავალება შეირჩევა უკვე დაზუსტებული შეფასების მიხედვით. ასე გრძელდება, სანამ შეფასება არ გახდება საკმარისად ზუსტი შეკითხვების მაქსიმალური რაოდენობის (40-50 დავალება) ამოწურვამდე.

უფრო ზუსტად რა იგულისხმება „მოსწავლის უნარის შეფასებაში“. როგორ ხდება მოსწავლის უნარის შეფასება?

მოსწავლის უნარის, გნებავთ შესაძლებლობის, შეფასება ხდება აპრობირებული მეთოდის, ე.წ. „ტესტურ დავალებათა თეორიის“ (ინგლისურად – Item Response Theory, შემოკლებით IRT) გამოყენებით. უხეშად რომ ვთქვათ, IRT თეორიის შესაფერისი ალბათური მოდელის მიხედვით გამოითვლება, თუ რა უნარი უნდა ჰქონოდა მოსწავლეს, რომ მოცემულ კითხვებზე ზუსტად მოცემული პასუხების გაცემა ყველაზე მოსალოდნელი ყოფილიყო.

რას ნიშნავს „დავალებას არჩევს შეფასების მიხედვით“ და მართალია თუ არა, რომ ყოველი სწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში მოსწავლეს მიუვა წინანდელზე უფრო რთული დავალება?

CAT-ის პროგრამის მუშაობის პრინციპია, რომ ყოველ ეტაპზე მოსწავლეს შეურჩიოს ისეთი დავალება, რომელზე პასუხიც მაქსიმალურ ინფორმაციას მოგვცემს მისი უნარის შესახებ. ამ „მაქსიმალურად ინფორმატიული“ დავალების შერჩევისას პროგრამა ითვალისწინებს რამდენიმე პარამეტრს, მათ შორის მოსწავლის უნარის მიმდინარე შეფასებას, დავალების სირთულეს და დავალების დისკრიმინაციას. დისკრიმინაციის პარამეტრი გვიჩვენებს, თუ რამდენად კარგად ასხვავებს დავალება მიმდინარე შეფასებაზე მაღალი და მასზე დაბალი უნარის მქონე მოსწავლეებს ერთმანეთისგან. ხანდახან ხდება ხოლმე, რომ მოსწავლეს უმჯობესია მიეცეს ისეთი დავალება, რომელიც მიმდინარე შეფასებასთან შედარებით უფრო რთული ან უფრო მარტივია, მაგრამ მაღალი დისკრიმინაციიდან გამომდინარე შეფასებას მისი შესაბამისი სირთულის დავალებებზე უკეთესად აზუსტებს. ამიტომ, შეიძლება მოსწავლეს სწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში უფრო რთული დავალება არ მიუვიდეს, თუმცა, ეს მხოლოდ იშვიათად ხდება და საზოგადოდ, შეფასების ზრდასთან ერთად მიღებული დავალებების სირთულის ზრდის ტენდენცია ნარჩუნდება.

ანუ, სწორი პასუხის შემთხვევაში მოსწავლის მიმდინარე შეფასება გაიზრდება. შეგვიძლია თუ არა იმის თქმა, თუ რამდენად გაიზრდება ეს შეფასება?

ყოველი სწორი პასუხის შემთხვევაში მოსწავლის შეფასება იზრდება და პირიქით, მისი შეფასება მცირდება თუ დავალებაზე პასუხი არასწორი აღმოჩნდება (როგორი სირთულისაც არ უნდა იყოს შესრულებული დავალება). თუმცა შეუძლებელია იმის თქმა, თუ რამდენად გაიზრდება (თუ შემცირდება) შეფასება, რადგან ეს დამოკიდებულია დავალების პარამეტრებზე (მის სირთულეზე და დისკრიმინაციაზე) და იმაზეც, თუ როდის სრულდება ეს დავალება. მაგალითად, თუ მოსწავლე დავალებას ასრულებს ტესტირების საწყის ეტაპზე, შეფასების ცვლილება იქნება უფრო დიდი, ვიდრე ტესტირების უფრო გვიან ეტაპზე, რადგან ყოველი პასუხის შემდეგ შეფასება უფრო მეტად ზუსტდება.

რა სკალაზე იზომება მოსწავლის უნარი?

პროგრამის „სამუშაო სკალა“ არის 10-დან 10-მდე. როდესაც პროგრამა დაასრულებს მუშაობას და მოსწავლის საბოლოო შეფასება ცნობილი გახდება, ეს უნარი გადაისახება სკოლისათვის უფრო ბუნებრივ სკალაზე 5-დან 10-მდე.

როგორ ხდება ამ დროს ჩაჭრის ზღვრის განსაზღვრა?

ჩაჭრის ზღვარი წინასწარ დგინდება კომპიუტერული სიმულაციების გამოყენებით. ტარდება ცდები, თუ რა შედეგს მიიღებდა მოსწავლე, რომელიც სრულიად შემთხვევით სცემს პასუხებს დავალებებზე. ბევრი ასეთი (2000 ან მეტი) ცდის ჩატარების შემდეგ დგინდება ისეთი სიდიდე, რომელსაც „შემთხვევითად მოპასუხე“ მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა (მაგალითად 95%) ვერ გადალახავდა. სწორედ ეს სიდიდე იგივდება 5.5-ქულასთან და ხდება ჩაჭრის ზღვარი.

მაშასადამე, თუ შემთხვევით ვცემ პასუხებს დავალებებზე, დიდი ალბათობით ზღვარს ვერ გადავლახავ?

თუ ძალიან არ გაგიმართლათ, ვერ გადალახავთ.

შეგვიძლია ვთქვათ დაახლოებით რამდენ დავალებაზე უნდა გასცეს სწორი პასუხი მოსწავლემ, ზღვარი რომ გადალახოს?

ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ (ანუ, როგორი სირთულის და დისკრიმინაციის) დავალებებს შეასრულებს მოსწავლე სწორად და რომელ დავალებებს უპასუხებს არასწორად – საბოლოო შეფასება დამოკიდებულია არა მხოლოდ სწორი პასუხების რაოდენობაზე, არამედ იმ შეკითხვების სირთულისა და დისკრიმინაციის ხარისხზე, რომლებიც მოსწავლეს მიუვიდა. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ საშუალოდ 40-დან 15-16 დავალებაზე სწორი პასუხის გაცემა საკმარისი იქნება ზღვრის გადასალახად. პროგრამა ისეა მოწყობილი, რომ რაც უფრო მეტ შეცდომას უშვებს მოსწავლე, მით უფრო მარტივი დავალებები მისდის. შესაბამისად, თუ მან კომპეტენციის მინიმალურ ზღვარზე დაბალი ქულა მიიღო, ეს ნიშნავს, რომ იმ დავალებების უდიდესი ნაწილი, რომლებიც მას მიუვიდა, იყო ყველაზე მარტივი დავალებები, რაც კი დავალებების ბაზაში მოიპოვება, და მან ამ დავალებების დიდი უმრავლესობა (ორი მესამედი ან მეტი) ვერ გააკეთა.

ზედა ზღვრის დადგენა როგორღა ხდება? რა უნარი შეესაბამება 10ქულას?

ამ შემთხვევაშიც ჩვენ ვიყენებთ კომპიუტერულ სიმულაციებს, თუმცა კრიტერიუმი აქ ცოტა სხვაგვარია. კვლავ ტარდება ბევრი ცდა (2000 ან მეტი), თუ როგორ გაივლიდნენ ტესტს მაღალი უნარის მქონე მოსწავლეები.

მაღალი უნარის მქონე მოსწავლის კომპიუტერული მოდელიც არსებობს?

გარკვეული აზრით, დიახ, არსებობს. ჩვენ შემთხვევაში, ეს უბრალოდ ნიშნავს, რომ სიმულაციის დროს ტესტურ დავალებას მაღალი ალბათობით გაეცემა სწორი პასუხი. თუ ეს დავალება მარტივია, სწორი პასუხის მიღების შანსი თითქმის 100%-ია, ხოლო თუ დავალება რთულია, სწორი პასუხის მიღების ალბათობა მცირდება, ვთქვათ, შეიძლება იყოს 90%. როდესაც ასეთი პრინციპით ბევრ სიმულაციას ვატარებთ, საშუალო შედეგი საკმაოდ ზუსტ წარმოდგენას გვიქმნის რეალურ სურათზე.

ამ სიმულაციების შედეგად ტესტში მიღებულ 10 ქულას რა უნარი შეესაბამება?

10 ქულის შესაბამისად, უხეშად რომ ვთქვათ, ითვლება ისეთი უნარი, რომლის დროსაც, საშუალოდ, 40-დან 36 პასუხი მაინც არის სწორი.

ანუ 4 შეცდომის შემთხვევაშიც კი, წესით, 10 ქულა უნდა დაიწეროს?

ეს მხოლოდ საშუალოდ არის ასე. შეიძლება მოსწავლემ 5 ან 6 შეცდომაც დაუშვას და მაინც 10 ქულა მიიღოს და შეიძლება დაუშვას მხოლოდ 3 შეცდომა და ვერ მიიღოს 10 ქულა. ეს ისევ დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის და რომელ (ანუ, როგორი სირთულის და დისკრიმინაციის) დავალებებს ვერ გასცემს სწორ პასუხს და რომელ დავალებებს შეასრულებს სწორად.

თუ ათი შეცდომა დავუშვი, მაშინ რა ქულას მივიღებ?

ამის წინასწარ ზუსტად თქმა შეუძლებელია. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ დავალებებზე გაეცით პასუხი სწორად და რომლებზე – შეცდომით. ასეთი მოსწავლეების (ვინც ზუსტად 10 შეცდომა დაუშვეს) ქულების დიაპაზონი საკმაოდ დიდია. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვთქვათ საშუალოდ რამდენ ქულას მიიღებენ ეს მოსწავლეები და დიდი ალბათობით რა ინტერვალში მოხვდება მათი ქულები. მაგალითად, წელს მათემატიკის გამოცდაში, ვინც 10 შეცდომა დაუშვა, საშუალოდ 8.1 ქულა მიიღეს, მაგრამ მათ შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც 8.5 ქულა მიიღო და ისეთებიც, ვინც მიიღო მხოლოდ 7.8 ქულა.

გასაგებია, მაგრამ კონკრეტული ქულა, ვთქვათ 8.3 ისტორიაში, როგორ უნდა გავიგოთ? რამეს გვეუბნება ეს ქულა მოსწავლის მოსწრების შესახებ?

რა თქმა უნდა, პირველ რიგში ეს ქულა გვეუბნება, რომ ამ მოსწავლის კომპეტენცია ისტორიაში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მინიმუმს ბევრად აღემატება. CAT-ის გამოცდის მთავარი ფუნქციაც სწორედ ეს არის. გარდა ამისა, შედარებისათვის შეიძლება ამ ქულის ნახვა პროცენტილების ცხრილში, საიდანაც გამოჩნდება, თუ მთელი საქართველოს მასშტაბით რამდენ პროცენტს აქვს ამ ქულაზე ნაკლები ქულა და რამდენს – ამ ქულაზე მეტი. ეს საშუალებას გაძლევთ თქვენი ცოდნა არსებულ საერთო სკალაზე მოათავსოთ. მაგალითად, წელს ისტორიის გამოცდაში 8.3 ქულით მოსწავლეების 97%-ს აჯობებდით, რაც საკმაოდ მაღალი შედეგია. თუმცა, ისტორიის მთელი სასკოლო პროგრამის ფონზე, თქვენი ცოდნა უფრო „კარგი“ იქნებოდა, ვიდრ „ფრიადი“.

ქართული როგორც მეორე ენა

მოსწავლეთა ზონალური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია

საქართველოს ქართულენოვანი საჯარო სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეთა სასკოლო, ზონალურ და რეს-პუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში. არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეები კი, ვფიქრობ, აქტიურად არ არიან ჩართული ამ პროცესებში. ამიტომ განათლების სამინისტროს პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ პედაგოგებმა დავგეგმეთ სასკოლო და ზონალური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციები ქართულ ენაში არაქართველი მოსწავლეებისათვის. ჩავატარეთ სასკოლო სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია და გამოვავლინეთ გამარჯვებული მოსწავლეები. ზონალური კონფერენციის ორგანიზებისა და მასპინძლობის პასუხისმგებლობა აიღო ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ დადეშის საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელმა **ცირა მამაცაშვილმა**.

5 მაისს ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების სომხურენოვანი საჯარო სკოლების დირექციის წარმომადგენლები, ქართული ენის პედაგოგები და მოსწავლეები ვესტუმრეთ დადეშის საჯარო სკოლას. კონდურის, ღულალისის, სულდის, ხავეთისა და დადეშის სკოლების მოსწავლეთა შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარების მიზნით, კონფერენციამდე, ერთობლივი ძალებით გაიმართა საზეიმო ღონისძიება. მოსწავლეებმა მხატვრულად წაიკითხეს ქართველი და სომეხი პოეტების ლექსები, შთამბეჭდავად შეასრულეს ქართული და სომხური სიმღერები და ცეკვები. დამსწრე საზოგადოებას სიტყვებით მიმართეს ქართული ენის პედაგოგებმა. აღინიშნა, რომ სამინისტროს პროგრამით არაქართულენოვან სკოლებში წარგზავნილი პედაგოგები ძალასა და ენერგიას არ იშურებენ, რომ სახელმწიფო ენა სათანადო დონეზე შეასწავლონ საქართველოში მცხოვრებ არაქართველ მოქალაქეებსა და მოსწავლეებს, რათა მათ შეძლონ ინტეგრაცია ქართულ სივრცეში.

5 მაისს საფუძველი ჩაეყარა ხუთი სკოლის მეგობრობას, სამომავლოდ დაიგეგმა ერთობლივი ღონისძიებები და შეხვედრები. საზეიმო შეხვედრის შემდეგ ჩატარდა მოსწავლეთა ღია ზონალური კონფერენცია თემაზე „ქართული მარტო ენაა?“. კონფერენცია მიეძღვნა ქართულ ენას, როგორც სახელმწიფო ენას, საკომუნიკაციო ენას, წარმატების მიღწევისათვის აუცილებელ საშუალებას მრავალეროვანი საქართველოს მოქალაქეებისათვის. მოსწავლეთა ნაშრომები წარმოდგენილი იყო შემდეგ საგნებში: ქართული ენა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ლიტერატურა და მითოლოგია.

კონფერენციას რამდენიმე მიზანი ჰქონდა: 1. მოსწავლეებში შემოქმედებითი, საპრეზენტაციო უნარების, თავისუფალი აზროვნების განვითარების ხელშეწყობა; 2. პედაგოგთა ხელმძღვანელობით მოსწავლეთა მიერ შექმნილი სასწავლო რესურსების პრეზენტაცია და ცოდნა-გამოცდილების გაზიარება; 3. მოსწავლეთა და პედაგოგთა მოტივაციის ამაღლება სახელმწიფო ენის საფუძვლიანად შესასწავლად.

საკონფერენციო ნაშრომები წარმოდგენილი იყო ბილინგვურად – ქართულ და სომხურ ენებზე, რაც აადვილებდა ქართული ენის არმცოდნე პედაგოგებისთვის კონფერენციის მუშაობაში აქტიურად ჩართვას და ინფორმაციის მისაწვდომობას.

მოსწავლეები გადანაწილდნენ სამ სექციაში. თემები წარმოადგინეს: **ასტღიკ ნაზარიანმა, ანაჰიტ ტონერიანმა** და **ანჟელიკა პოღოსიანმა** (პატარა კონდურის საჯარო სკოლა), **ასია აფოიანმა, ნაზენი სარკისიანმა, გაიანე სარკისიანმა, გოჰარ მარტიროსიანმა, ინგა მარტიროსიანმა, ვარსენიკ სიმონიანმა, ჰერმინე მოვსესიანმა, ასია თოსუნიანმა, ერანაკ ზაქარიანმა, ერანაკ სიმონიანმა, ლენა ჰარუთუნიანმა, ჟენია კურგანიანმა, ანნა აფოიანმა, ჰერმინე მოვსესიანმა, ვარდანუშ მოვსესიანმა, სედა აკოფიანმა** (დადეშის საჯარო სკოლა), **კარაპეტ აკოფიანმა, ალვარდ კარაპეტიანმა** (ხავეთის საჯარო სკოლა), **ასტღიკ ქუჯოიანმა, ასტღიკ ოგანესიანმა** (სულდის საჯარო სკოლა).

ღონისძიებას ესწრებოდნენ: პატარა კონდურის, ღულალისის, ხავეთისა და დადეშის საჯარო სკოლების დირექტორები – **არტაშეს ჰოვსეპიანი, ნათელა ნერსესიანი, ნორაირ აკოპიანი, სურენ აკოპიანი;** სულდის თემის გამგებელი **ზარზანდ ქუჯოიანი**; განათლების სამინისტროს პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ ტრენერ-მასწავლებლები: **ლიანა ბუხრიკიძე, თამარ პოილარაშვილი, მადიმი დოლაკიძე, ცირა მამაცაშვილი**; ამავე პროგრამის მოხალისე პედაგოგები: **ანა ქუქჩიშვილი, ნინო ზაქარიაძე, ლიკა შარიფაშვილი**; მონაწილე სკოლების სხვადასხვა საგნის პედაგოგები: **მანანა წაველიძე, აიგუი მანასიანი, სილვა ქსპოიანი, სასუნ თოსუნიანი, სამსონ სარქისიანი, არმენუი აკოპიანი, ლიდა ოვსეპიანი, ანი სიმონიანი**.

კონფერენციის შემდეგ გაიმართა შემაჯამებელი სხდომა და საქმიანი სადილი. სტუმრებმა მადლობა გადავუხადეთ ღონისძიების მონაწილე მოსწავლეებს, დადეშის საჯარო სკოლის დირექციას და ღონისძიების ორგანიზატორს, ქალბატონ ცირა მამაცაშვილს.

კონფერენციის მონაწილე მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სიგელებით.

მადიმი დოლაკიძე
პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ პატარა კონდურის ქართული ენის ტრენერ-მასწავლებელი

სასკოლო აქტივობა

„ნუ გახდება საქართველო ნახევრის-ნახევარი...“

„ოღონდ ნუ იქნება მთიულეთი ნამთიულარი, ხევსურეთი ნახევსურალი... და ნუ გახდება საქართველო ნახევრის-ნახევარი“ – ეს სიტყვები გოდერძი ჩოხელს ეკუთვნის, რომლითაც ყველა ქართველისთვის ცნობილი გულისტკივილია გადმოცემული და რაოდენ სამწუხაროა, რომ ახალგაზრდები დღეს ნაკლებად იცნობენ მის შემოქმედებას და იმ მაღალმთიანი რეგიონის კულტურასა და ტრადიციებს, სადაც დაიბადა და გაიზარდა ჩვენთვის საყვარელი მწერალი. სწორედ გოდერძი ჩოხელის გახსენებასა და მის შემოქმედებას მიეძღვნა შინაარსობრივად და ემოციურად დატვირთული ღონისძიება, რომელიც სსიპ ქალაქ თბილისის №72 საჯარო სკოლაში (დირექტორი – **მანანა კიკაჩეიშვილი**) გაიმართა.

ღონისძიებაზე მოსული სტუმრები სკოლის დერეფანშივე აღმოჩნდნენ გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ზღაპრულ სამყაროში, მშობლების (**თინათინ ზარქუას** და **ანასტასია კეკელიას**) მიერ შესრულებული პანოებისა და ნახატების პერსონაჟები ოსტატურად გააცოცხლეს მოსწავლეებმა: **მარიამ ჩანქსელიანმა, ლაშა ციხისთავმა, ალექსანდრე ლობჟანიძემ, ელენე დანელიამ, ნატა გიორგობიანმა, ნატა ტოროტაძემ, ნინო როგავამ, ანა აკბარმა, ლაშა შიგარდელაშვილმა, სერგი ჯავახიამ, ნიკა კახიანმა, არტიომ არუთინიანმა, გიორგი ქარქაშაძემ**. მათ მიერ წარმოდგენილმა სცენებმა აღაფრთოვანა მაყურებელი, ღონისძიებაზე მოსული სტუმრები: **ნინო ჩოხელი** – გოდერძი ჩოხელის მეუღლე; **ნინო ზედელაშვილი** – გოდერძი ჩოხელის მეგობარი, წიგნის ავტორი (ბოლო წიგნი გ. ჩოხელის შესახებ „ნაწილნი“); **მარიამ ადამაშვილი** – ჟურნალისტი, გოდერძი ჩოხელის მოსწავლე. ფილმის „ცასწავალა“ ავტორი და რეჟისორი; მამაო **თავმას ჩოხელი**; კრწანისის გამგებლის მოადგილე **ლალი ბირკაძე**; კრწანისის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი **მიშა მურაჩაშვილი**; თბილისის რამდენიმე სკოლის დირექტორი და პედაგოგი; განათლების ექსპერტი **ქეთი აბესაძე** და, რაც მთავარია, გუდამაყრელი სტუმრები – გუდამაყრის დეპუტატი **თამაზ ბექაური**, გუდამაყრის გამგებელი **მალხაზ წიკლაური**, გუდამაყრის სკოლის პედაგოგი **ნელი ბექაური** და მოსწავლეები – **გიორგი ბექაური, ანა ბექაური**. გაიხსნა გოდერძი ჩოხელის სახელობის გალერეა, რომელიც ეტაპობრივად გამდიდრდება და შეივსება ექსპონატებით.

სტუმრებმა და მასპინძლებმა გადაინაცვლეს სააქტო დარბაზში, სადაც ნახეს დოკუმენტური ფილმი: „მე ვარ გოდერძი ჩოხელი“. ამ ფონზე 72-ე სკოლის მოსწავლეებმა ორი საგალობელი შეასრულეს. გოდერძი ჩოხელისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა ჩვენი სკოლის მოსწავლემ, ნორჩმა პოეტმა **ლაშა ციხისთავმა**.

გოდერძი ჩოხელის ლექსები დიდი ემოციითა და ოსტატობით წაიკითხეს გიორგი და ანა ბექაურებმა. დამსწრე საზოგადოება მოინუსხა ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობის და პოეტის, ღონისძიების რეჟისორის, **ჯარჯი შუქიაურის** მიერ წაკითხული ლექსით.

სკოლის დირექტორმა **მანანა კიკაჩეიშვილმა** დამსწრეთ გააცნო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ „სასკოლო ინიციატივების წახალისების ქვეპროგრამის“ ფარგლებში, 72-ე საჯარო სკოლის საპროექტო ჯგუფის მიერ, წარსადგენად მომზადებული პროექტი „კრწანისელებისა და არაგველების კვალდაკვალ“, რომელიც გუდამაყრისა და თბილისის მრავალრიცხოვანი №72 საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის პარტნიორული ურთიერთობის დამყარებასა და მაღალმთიანი გუდამაყრის პოპულარიზაციას ითვალისწინებს.

დირექტორმა მადლობა გადაუხადა კოლექტივს თანადგომისათვის და ღონისძიებაში აქტიურად ჩართულ მოსწავლეებს, მშობლებს და პედაგოგებს: **თამარ ტალახაძეს, ნანა ხარაზიშვილს, სალომე ასანიძეს, იდა კარელს, ირმა სამხარაძეს**.

შეხვედრა დასრულდა ქალბატონი **ნინო ჩოხელისა** და სტუმრების ემოციური გამოსვლებით. მათ აღნიშნეს, რომ ეს იყო ძალიან აკადემიური, შემეცნებითი, დახვეწილი, ინფორმაციულად და ემოციურად დატვირთული ღონისძიება. წარმოდგენილი პროექტი შეფასდა, როგორც ორივე მხარისათვის საჭირო და გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებული.

ნანა აბრამიშვილი
დირექტორის მოადგილე

ინტეგრირებული გაკვეთილი

მათემატიკა და მუსიკა

გაკვეთილის თემა	წილადები და მუსიკალური ზომა
სწავლების საფეხური, კლასი და სკოლა	I საფეხური, V კლასი, ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფ. არლის საჯარო
ინტეგრირებული საგნები; მასწავლებლების სახელი, გვარი	მათემატიკა: სერტიფიცირებული პედაგოგი – ცირა ვარდიძე, მუსიკა: პედაგოგი – მარინა აფრიამაშვილი
მოსწავლეთა რაოდენობა	15
გაკვეთილის სასწავლო მიზნები	**მათემატიკა**:1. ახდენს მათემატიკის, როგორც სამყაროს აღწერისა და მეცნიერების უნივერსალური ენის ათვისებას; 2. მოსწავლეები გამოიყენებენ წილადების შედარების სხვადასხვა სტრატეგიებს; 3. მოსწავლეები განივითარებენ წილადების შედარების უნარ-ჩვევებს. **მუსიკა**:რითმის, ძლიერი და სუსტი დროის შეგრძნების უნარის, მოსმენა-ანალიზის, თანამშრომლობის, საგანთა შორის კავშირების დანახვის უნარის განვითარება.
ესგ-ით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები	***მათ v2.*** კითხულობს, გამოსახავს, აფასებს და ალაგებს წილადებს ***მუს v.6.*** მოსწავლეს შეუძლია სხვებთან თანამშრომლობა ***მუს v.7.*** მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ნაწარმოების განხილვა-ანალიზი
მოტივაცია	შემეცნების დონის ამაღლება
გაკვეთილის თანამიმდევრობა (აქტივობა და დრო)	სიის ამოკითხვა. (2წთ.) საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობს ჯგუფებში. (3 ჯგუფი) **გამოწვევის ფაზა**: შეკითხვა: რისთვის სჭირდება მათემატიკა მუსიკას, რა აქვთ მათ საერთო? პასუხი: არსებითად – წილადები. მოსწავლეთა ჩართულობით და აქტიურობით დაფაზე მოთავსებულ ფორმატზე კოგნიტურ თვალსაჩინო სქემაში პედაგოგები ავსებენ I და II სვეტს (რა ვიცი, რა მინდა ვიცოდე?). (4წთ.) **სიღრმისეული წვდომის ფაზა:** მათემატიკა: რას ეწოდება წილადი, რას გვიჩვენებს მისი მნიშვნელი, მრიცხველი? **მუსიკა:** რა ფუნქციას ასრულებს სანოტო სისტემაში გასაღებთან მოთავსებული ზომა, რომელიც წილადის სახით არის მოცემული? – იგი არის ტაქტის თვლის მაჩვენებელი. (2წთ.) **მათემატიკა:** თითოეული ჯგუფის ლიდერი გააკეთებს პრეზენტაციას: წარმოადგენს საშინაო დავალებას, სადაც ისინი წესიერ და არაწესიერ წილადებს წარმოადგენენ თვალსაჩინო ნახატების საშუალებით. (5წთ.) **მათემატიკა:** ჯგუფებთან დამოუკიდებელი მუშაობა. ფიგურის დაშტრიხული ნაწილი წარმოადგინონ წილადებით. (2წთ.) **მუსიკა**: მინი-ლექცია: ინფორმაციის მიწოდება ზომისა და გრძლიობის შესახებ მოსწავლეთა პროცედურული ჩართულობით. (3წთ.) **მათემატიკა:** ჯგუფებს ეძლევათ დავალება წილადების შედარებაზე. (2წთ.) **მუსიკა:** ჯგუფებს ეძლევათ დავალება პ.ი. ჩაიკოვსკის „გედების ტბა“ სანოტო ნაწყვეტი – 8 ტაქტის მოცულობით: მოსწავლეებმა უნდა მონახონ შეცდომა და გაასწორონ. (2წთ.)
გაკვეთილის თანამიმდევრობა (აქტივობა და დრო)	**მათემატიკა**: ჯგუფებს ეძლევათ დავალება მოცემულ შერეულ წილადებსა და არაწესიერ წილადებს შორის შესაბამისობის დადგენაზე. (2წთ.) **მუსიკა**:ჯგუფებს ეძლევათ დავალება: მოისმენენ ა. ხაჩატურიანის ვალსს, ი. ჰაიდნის სონატას, აკეთებენ ანალიზს სქემის მიხედვით, სადაც მოსწავლეები ადგენენ კილოს ზომას, საკრავებს, ჟანრს, ტემპს, დინამიკას-სპეციალურად მომზადებული სქემის მიხედვით. (4წთ.) **მათემატიკაში** მასწავლებელი აკეთებს ფორმატზე წარმოდგენილი სქემის მიხედვით სხვადასხვა მნიშვნელიანი წილადების წარმოდგენას რიცხვით ღერძზე და მათ შედარებას მოსწავლეთა ჩართულობით. (4წთ.) მოსწავლეთა ჩართულობით ხდება ახალი უცხო სიტყვების განხილვა. (2წთ.) **მათემატიკა:** მასწავლებელმა წარმოადგინა საინტერესო მინი-ლექცია ცნობილი მათემატიკოსისა და ფილოსოფოსის – პითაგორას ცხოვრებასა და კავშირზე მუსიკასთან, მან მონიტორზე აჩვენა მის მიერ შექმნილი მუსიკალური საკრავი, მისი ისტორია და პითაგორას თეორემა მუსიკასა და მათემატიკაში. (5წთ.) **რეფლექსიისა და შეჯამების ფაზა:** მოსწავლეების ჩართულობით მასწავლებლები ავსებენ კოგნიტურ თვალსაჩინო სქემაში სვეტს „რა ვისწავლე“. (3წთ.)
შეფასება	ჯგუფის ლიდერები მათემატიკაში საშინაო დავალების პრეზენტაციისათვის შეფასდნენ 10-10-9 ქულებით, რამდენიმე მოსწავლე ჯგუფური მუშაობის დროს გამოჩენილი აქტიურობით 8-8-9-10-10 ქულებით, ასევე მუსიკაში 10-9-9-8-8 ქულებით. (2წთ.)
დავალება	**მათემატიკა:** მონიტორზე წარმოდგენილია ამოცანა წილადების შედარებაზე – რიცხვით ღერძზე გამოსახვით, ასევე ეძლევათ ნომრები სახელმძღვანელოდან. **მუსიკა:** 3/8 და 6/8 ზომაში ახალი გაკვეთილის მიხედვით უნდა შექმნან 8 ტაქტის მოცულობით მელოდიური ნახაზი. (1წთ.)
საკლასო მენეჯმენტი – საგანმანათლებლო რესურსები	კომპიუტერი, პროექტორი, სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, ფლომასტერები, ფორმატის ფურცლები, აუდიო მოსასმენი მასალა.

ცირა ვარდიძე
ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლის მათემატიკის სერტიფიცირებული პედაგოგი

სასკოლო აქტივობა

ღია კარის დღე

5 მაისს, ქუთაისის №35 საჯარო სკოლაში, ჩატარდა ღია კარის დღე, რომელიც სკოლის დირექციისა და საგნობრივი კათედრების მიერ დაიგეგმა, სკოლის დირექტორის **რუსუდან თავიდაშვილის** ხელმძღვანელობით. ქალბატონი რუსუდანი სკოლის დირექტორად 2014 წლის სექტემბერში დაინიშნა და ამ ხნის განმავლობაში მრავალმხრივი და

მრავალფეროვანი მუშაობა წარმართა სკოლის განვითარებისა და გაძლიერების მიზნით.

ღია კარის დღის წარმატებით ჩატარებისთვის დიდი მუშაობა გაწიეს სკოლის საგნობრივმა კათედრებმა, რომელთაც აჩვენეს როგორც ინდივიდუალური, ასევე ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები. თემატიკა მრავალფეროვნად, კრეატიულად და საინტერესოდ იყო შერჩეული. მონაწილეობდნენ როგორც დაწყებითი, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები და პედაგოგები.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის №35 საჯარო სკოლა G-Pried-ის პროგრამაშია ჩართული. ღია გაკვეთილები, რომლებიც წარმოდგენილ იქნა დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მიერ, ამ პროექტის მუშაობის შედეგის საკმაოდ წარმატებული ჩვენება იყო.

საგაკვეთილო პროცესი დაასრულა შემოქმედებითმა ღონისძიებებმა. ინტეგრირებული, გერმანულ-ქართული ღონისძიება „გაზაფხული, სიყვარული, პოეზია...“ გოეთეს დღეებს მიეძღვნა. მონაწილეობდნენ VI და XI კლასების მოსწავლეები. ასევე მსმენელის წინაშე წარდგნენ შემოქმედებითი უნარებითა და ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები, რომელთაც საკუთარი ლექსები, ნოველები და მოთხრობები წაიკითხეს. მეთორმეტეკლასელმა **გიორგი გიგინეიშვილმა**, სხვადასხვა პოეტების ლექსების კომპოზიციით, ერთი მსახიობის თეატრი წარმოადგინა.

სააქტო დარბაზში ნორჩი მხატვრის, მეათეკლასელი **გივი მამაგეიშვილის** პერსონალური გამოფენა მოეწყო.

აქტივობათა ციკლი G-PRIED-ის ინტერვენციების დახმარებით

5 მაისი სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის წყალტუბოს პირველი საჯარო სკოლის (დირექტორი – **ფაქიზო ფანჩულიძე**, მოადგილე – **დალი სილაგაძე**) მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს დიდხანს ემახსოვრებათ, რადგან ტრადიციულად ჩატარდა ღია კარის დღე, რომელიც გამოირჩეოდა როგორც სტუმართა, ასევე აქტივობათა სიმრავლით.

სასწავლო დღე VI^ა^ და V^ბ^ კლასების მოსწავლეების მიერ სკოლის ჰიმნის (ტექსტის ავტორები: **ოტია იოსელიანი**, **დალი სილაგაძე**; მუსიკის ავტორი – **მაკა ჟორჟოლიანი**) შესრულებით დაიწყო, დასვენებაზე უკრავდა სკოლის ბენდი. სტუმრებს, წინასწარ დარიგებული მოსაწვევების მეშვეობით, შეეძლოთ აერჩიათ და დასწრებოდნენ სასურველ გაკვეთილს.

სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ სკოლის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს სწავლა-სწავლებისათვის ხელსაყრელ გარემოს. მასწავლებლის განათლება და პროფესიონალიზმი მოსწავლის მიღწევების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ დირექცია ზრუნავს პედაგოგთა მუდმივ განვითარებაზე, პროფესიულ ზრდასა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებაზე. ამიტომაც ჩაერთო ჩვენი სკოლა, ორიოდე წლის წინ, მაშინდელი დირექტორის, ქალბატონ **ლაურა ჯიმშელეიშვილის** ინიციატივით, საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტ G-Pried-ში, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული ხუთწლიანი პროგრამაა. პროექტის მიზანია კითხვასა და მათემატიკაში დაწყებითი კლასების მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესება.

სკოლის ახალმა ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ფაქიზომ, წინამორბედი დირექტორის წამოწყება განაგრძო და ყოველმხრივ ხელს უწყობს პედაგოგთა აქტიურ ჩართვას აღნიშნულ პროექტში. ამის დასტური გახლდათ ღია კარის დღეს დაგეგმილი, ინოვაციური მეთოდებით ჩატარებული გაკვეთილები, რომლებსაც ესწრებოდნენ: საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტ G-Pried-ის ხელმძღვანელი, ქალბატონი **ნენსი პარკსი** და ამავე პროექტის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი, ქალბატონი **ქეთევან ჩაჩხიანი**. I^ბ^, (მასწავლებელი – **იამზე წულუკიძე**), III^ა^ (მასწავლებელი – **ელისო მეტრეველი**), III^ბ^ (მასწავლებელი – **აზა ნაფეტვარიძე**), IV^ა^ (მასწავლებელი – **ირმა გურეშიძე**) IV^ბ^ (მასწავლებელი – **ნანა თუთისანი**) კლასებში ჩატარდა მხატვრული ტექსტების გაგება-გააზრების საჩვენებელი გაკვეთილები, რომელთა მიზანი იყო კითხვის დიფერენცირებულად სწავლების არსისა და ძირითადი მახასიათებლების გაცნობიერება, კითხვისა და წერის ეფექტური მეთოდების გამოყენებით აგებული სასწავლო პროცესის პრაქტიკულად გავლა. საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტის წაკითხვის სტრატეგიაში გავარჯიშება; გაგება-გააზრება და ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა იყო IV^ბ^ კლასში ჩატარებული გაკვეთილის მიზანი (მასწავლებელი – **თეა ჭუმბურიძე**).

G-Pried-ის ახალი მეთოდების გამოყენებით საჩვენებელი გაკვეთილები ჩატარდა მათემატიკაშიც: IV^ბ^ კლასში, თემაზე – „ვიყენებთ ნაშთიან გაყოფას“ (მასწავლებელი – **ნანა თუთისანი**); VI^ბ^ კლასში (მასწავლებელი – **მანანა წულაია**) ჩატარებული მათემატიკის გაკვეთილის მიზანი იყო მონაცემთა ერთობლიობის რიცხვითი მახასიათებლების გაცნობა: მოდა, მედიანა, გაბნევის დიაპაზონი, მონაცემთა უდიდესი და უმცირესი მნიშვნელობები, არითმეტიკული საშუალო.

ქალბატონი ნენსი პარკსი აღაფრთოვანა არა მარტო „ჯიპრაიდულმა“, არამედ ინგლისური ენის გაკვეთილმაც, რომელიც VI^ა^ კლასში ჩატარდა თემაზე: „People of the World Old Gustoms and Inventions“ (მასწავლებელი – **ლელა მანდარია**).

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის წევრებმაც იაქტიურეს – IX^ა^ კლასში (მასწავლებელი – **დარეჯან ლაჭყეპიანი**) ზნეობრივ-ეთიკური პრობლემების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბების, შედარება-შეფასების უნარების გამომუშავების მიზნით, ჩატარდა გაკვეთილი – „გმირების ტრაგედია და ბრბოს ფსიქოლოგია“ მოთხრობების: „სარჩობელაზედ“ (ილია ჭავჭავაძე), „მარიტა“ (გიორგი ლეონიძე), „ეშმაკის ქვა“ (მიხეილ ჯავახიშვილი) მიხედვით.

VII^ა^ კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს პროექტ „დიდი მეიგავეების“ ერთი აქტივობა, კერძოდ, ამავე სახელწოდების ინტეგრირებული გაკვეთილი (საგნები – ქართული ენა და ლიტერატურა, მასწავლებელი – **დოდო ხაჩიძე**; საგანი – რუსული ენა, მასწავლებელი – **ქეთევან ჯიქია**). მოსწავლეებმა გააანალიზეს და შეაფასეს ეზოპეს, სულხან-საბა ორბელიანის, ოტია იოსელიანისა და ივანე კრილოვის იგავ-არაკები. გაკვეთილს, მრავალ საპატიო სტუმართან ერთად, ესწრებოდა დიდი მწერლის, ოტია იოსელიანის ვაჟი, დაჩი იოსელიანი.

IX^ა^ კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი – **ლაურა ჯიმშელეიშვილი**) აჩვენეს სატელევიზიო გადაცემა „ექიმების“ იმიტირებული პროცესი. გაკვეთილის მიზანი იყო სწორი კვების უნარ-ჩვევების გამომუშავება, ჯანსაღი კვების პოპულარიზაცია, როლური თამაშით პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბება, პასუხისმგებლობისა და საკომუნიკაციო უნარების განვითარება.

მშობელთა ჩართულობა იყო ფასილიტაციის თემა, რომელიც **ქეთევან ჯიქიასა** და **მანანა წულაიას** ხელმძღვანელობით ჩატარდა.

აქტივობათა ციკლის საუკეთესო ფინალი იყო ლიტერატურულ სალონ „ოტიაურის“ მიერ წარმოდგენილი სპექტაკლი, ალექსანდრე ყაზბეგის „მამის მკვლელი“ (სცენარის ავტორი და რეჟისორი – **ოქროპირ სვანაძე**, კონსულტანტი – **დაჩი იოსელიანი**, მუსიკალური ხელმძღვანელი – **ოტია იოსელიანი**, მხატვარი – **ნანა მანაგაძე**).

სტუმრებმა დადებითად შეაფასეს დღე, ყველა შესრულებული აქტივობა, შემდგომი წარმატებები უსურვეს სკოლის ადმინისტრაციას, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს.

P.S. ეს საგაზეთო სტატია უკვე დაწერილი მქონდა, როდესაც სკოლის დირექტორის სახელზე მოვიდა ქალბატონი ნენსი პარკსის მადლობის წერილი. *„...თქვენ და თქვენმა ნიჭიერმა თანამშრომლებმა აჩვენეთ, რამდენად წარმატებული შეიძლება იყოს სკოლა, როდესაც სკოლის ხელმძღვანელი და მასწავლებლები თავდადებით შრომობენ თავიანთი მოსწავლეებისთვის.*

ძალიან საინტერესო იყო თქვენი მასწავლებლებისა და მოსწავლეების ნახვა საკლასო ოთახებში, ასევე, მშობლების მონაწილეობით, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის მუშაობის გაცნობა. დაბოლოს, ძალიან შთამბეჭდავი იყო მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი სპექტაკლი...

დიდ მადლობას გიხდით G-Pried-ის ინტერვენციების აღიარებისა და დაფასებისთვის. მოხარულები ვართ, რომ თქვენ და თქვენი მასწავლებლები აქტიურად იყენებთ G-Pried-ის მიერ მოწოდებულ იდეებსა და რესურსებს.

თქვენ შეძელით, თქვენი მოსწავლეებისთვის შეგექმნათ არაჩვეულებრივი სასწავლო გარემო. კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით, რომ მოგვეცით შესაძლებლობა, ვწვეოდით თქვენს სკოლას და გავცნობოდით თქვენს მუშაობას.“ – ვკითხულობთ წერილში.

დოდო ხაჩიძე

სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის წყალტუბოს №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე

ცოდნითა და კრეატიული აზროვნებით გამოვლენილი შედეგები

ICYS-ის გამარჯვებული ქართველი მოსწავლეები

ქართულ-ამერიკული სკოლა მოსწავლეებს თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებულ სასწავლო პროგრამას სთავაზობს. სკოლის პრიორიტეტები ინგლისურისა და მათემატიკის გაძლიერებული სწავლებაა.

ქართულ-ამერიკული სკოლა საერთაშორისო საპროექტო ოლიმპიადის – INTEL ISEF – ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში. სკოლა ყოველწლიურად ატარებს სამეცნიერო პროექტების ოლიმპიადას INTEL ISEF GEORGIA და გამარჯვებული მოსწავლეები მიჰყავს აშშ-ში, ფინალურ ტურში მონაწილეობის მისაღებად.

ქართულ-ამერიკული სკოლისა და ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეები მუდმივად მონაწილეობენ ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენციაში (ICYS), რომელიც მასშტაბური საერთაშორისო პროექტია, ყოველწლიურად იმართება სხვადასხვა ქვეყანაში. კონფერენციის ფარგლებში, ახალგაზრდა მეცნიერები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან საკუთარ მეცნიერულ მიღწევებს წარმოადგენენ 5 სექციაში: კომპიუტერულ და საინჟინრო მეცნიერებებში, გარემოს დაცვაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, მათემატიკასა და ფიზიკაში.

წელს ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენცია, 19-25 აპრილს, თურქეთში, ქალაქ იზმირში ჩატარდა. საქართველოს ეროვნული ნაკრები, რომელიც კონფერენციიდან გამარჯვებული დაბრუნდა, ქართულ-ამერიკული სკოლისა და ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის 8 მოსწავლით იყო დაკომპლექტებული. **მარი ქანაშვილი** და **გიორგი მესხი** საერთაშორისო კონფერენციიდან ოქროს მედლებით დაბრუნდნენ, **გიორგი გიორგაძე** და **ჯაბა ჯაბაური** – ვერცხლის მედლებით.

გვესაუბრება ქართულ-ამერიკული სკოლის დირექტორი, ქალბატონი **ირმა მესხიშვილი.**

– ქალბატონო ირმა, ეს თქვენი სკოლის პირველი გამარჯვებაა?

– ქართულ-ამერიკული სკოლის მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ სასკოლო, საქალაქო და საერთაშორისო სხვადასხვა საგნობრივ კონფერენციებში. გასულ წელს ჩვენმა მოსწავლემ, **ნათია ჭეიშვილმა**, ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენციაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა.

– როგორ შეაფასებდით ქართველი და უცხოელი კონკურსანტების განათლების დონეს? ელოდით გამარჯვებას?

– აღნიშნულ კონფერენციაზე მონაწილეები წინასწარ განსაზღვრული საკონკურსო წესით ხვდებიან. შიდა კონკურსები მონაწილე ქვეყნებში გამოავლენენ გამარჯვებულ სტუდენტებს, რომელთა თემებიც მოიცავს აქტუალურ, გლობალურ საკითხებს. მნიშვნელოვანია მონაწილეთა პრეზენტაციის უნარიც.

ცხადია, კონფერენციაში მონაწილეობისათვის მზადება წარმატების მოლოდინსაც გულისხმობს. ჩვენს სკოლას ამ კონფერენციაში მონაწილეობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება აქვს. ყოველთვის ვაღწევდით წარმატებას. წარმატების ხარისხის განსაზღვრა წინასწარ რთულია, თუმცა, ამ შემთხვევაში შედეგმა მოლოდინი გაამართლა.

– ICYS -ის ხელმძღვანელობასთან თუ ისაუბრეთ სამომავლო გეგმებზე?

– კონფერენციის მსვლელობისას ტარდება გუნდების ხელმძღვანელების შეხვედრები ორგანიზატორებთან და სემინარები (ICYS), განვიხილავთ სწავლა-სწავლების საკითხებს, პრობლემებს სასწავლო მეთოდიკაში, კონფერენციის სამომავლო გეგმებს, გლობალურ გადაუჭრელ აქტუალურ საკითხებს, რომლებიც სხვადასხვა საგანში ვლინდება.

– ასეთ კონკურსებში საინტრესოა ხოლმე არაოფიციალური ნაწილი. ამ კონფერენციაზე, ოფიციალური პროგრამის გარდა, თუ იყო რაიმე საინტერესო?

– ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენცია (ICYS) ყოველწლიურად აზიისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ტარდება. კონფერენციის ოფიციალური ნაწილის გარდა, მასპინძელი ქვეყანა წინასწარ გეგმავს კულტურულ ღონისძიებებს, რომელთა ფარგლებშიც მონაწილე ქვეყნები თავიანთ ტრადიციებსა და ღირსშესანიშნაობებს წარმოადგენენ. ჩვენი სკოლის მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ ეხილათ ინდონეზიის ველური ბუნებაცა და სინგაპურის თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევებიც.

შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს გამარჯვებულმა მოსწავლეებმა – **მარი ქანაშვილმა** და **გიორგი მესხმა**: *„კონფერენციაზე მონაწილეებმა წარმოადგინეს საბუნებისმეტყველო, კომპიუტერული და საინჟინრო მეცნიერებების მიმართულებით დამუშავებული თემები. ჩვენი თემა წარდგენილი იყო მათემატიკა-ფიზიკის სექციაში. ეს პირველი საერთაშორისო კონფერენცია იყო და მასში მონაწილეობა, ცხადია, მნიშვნელოვანია. სკოლაში მიღებული ცოდნა, კრეატიული აზროვნებისა და აუდიტორიასთან ურთიერთობის (პრეზენტაციის წარდგინების) უნარები წარმატების მიღწევაში დაგვეხმარა. გამოცდილების მხრივ კი, შეიძლება ითქვას, რომ დავიხვეწეთ, გავხდით თვითდაჯერებულები.*

კონფერენციაში მსოფლიოს 28 ქვეყნის წარმომადგენლები (16-25 ახალგაზრდა მკვლევრები) მონაწილეობდნენ, მათ შორის ჩვენ ყველაზე პატარები ვიყავით, არც გამოცდილება გვქონდა. დაგვეთანხმებით, წარმოუდგენლად ჟღერდა, რომ 14 წლის მოსწავლეებმა შეძლეს თემის დამუშავება და, კვლევის საფუძველზე, მნიშვნელოვანი შედეგის გამოვლენა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახელით გამოსვლა პასუხისმგებლობას აორმაგებდა.

უნდა აღინიშნოს კონფერენციის მონაწილეთა ურთიერთდამოკიდებულება, რაც კეთილგანწყობასა და სიყვარულს ეფუძნებოდა. დაგვამახსოვრდა კულტურული ღონისძიებები, რომლებიც კონფერენციის ფარგლებში რამდენჯერმე ჩატარდა. ღონისძიებათა მიზანი სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციების, ჩვეულებებისა და თურქეთის ღირსშესანიშნაობათა გაცნობა იყო.

*საკონფერენციო თემაზე მუშაობა მიზანმიმართულად მიმდინარეობდა. მათემატიკის პედაგოგ **ია მებონიას** დახმარებით. სწორედ მისი რჩევების გათვალისწინებითა და დაუღალავი შრომით მივაღწიეთ წარმატებას. რა თქმა უნდა, ვიმედოვნებდით, რომ გავიმარჯვებდით. კონფერენციის მონაწილეებთან თბილი, მეგობრული ურთიერთობა პირველივე დღეებიდან დავამყარეთ. ეს ურთიერთობა დღესაც გრძელდება, სოციალური ქსელის მეშვეობით.“*

გვესაუბრება ქართულ-ამერიკული სკოლის ზუსტ მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი **ია მებონია**: *„ოქროს მედლებს ნამდვილად არ ველოდი. იმიტომ კი არა, რომ ღირსები არ იყვნენ, უბრალოდ, ასეთი ფორუმების შედეგებისთვის მონაწილის ასაკსა და გამოცდილებას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. მოგეხსენებათ, მარი და გიორგი მხოლოდ თოთხმეტი წლისანი არიან, ამიტომ მოუწიათ, პროგრამის გარეთ, მრავალი საკითხის შესწავლა. ამ საკითხებიდან ნაწილი მაღალ კლასებში შეხვდებათ, ნაწილი კი უმაღლესი სკოლის პროგრამიდანაა.*

სამუშაო პროცესი ძალიან რთული იყო. ჩვენი სკოლის დატვირთული რეჟიმის ფონზე გვიწევდა გაკვეთილების შემდეგ დარჩენა, შაბათ-კვირისა და არდადეგების გამოყენება. მთავარი, რაც ამ ბავშვებმა ისწავლეს, მათემატიკა კი არა, შრომის პროცესის ორგანიზება და მიზნის მისაღწევად დიდი გარჯაა.

ასაკთან შედარებით თემა მართლაც რთული იყო. როცა ზამთარში, ერთ-ერთი მიღებული შედეგის ირგვლივ კონსულტაციისთვის, გამოცდილ მათემატიკოსს შევეხმიანეთ, მისი პირველი რეაქცია იყო: „როგორ გაართვეს ამას თავი?!“. როგორ და ...თამაშით! მათემატიკური აბსტრაქციების აღქმა ადვილი არაა. საქმის გასაიოლებლად ვცდილობდით, რთული კონსტრუქციები მარტივი ანალოგიებით აღგვეწერა და ... საქმეც აეწყო.

მოსწავლეებს წარმატებას ვუსურვებდი და იმ დიდ სიხარულს, რასაც გაწეული შრომის ღირსეული დაფასება ჰქვია.“

ირმა ქობულაშვილი
ქართულ-ამერიკული სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

სასკოლო აქტივობა

გვაქვს უთვალავი ფერითა

სასკოლო განათლების და განსაკუთრებით ქართული ენის ცოდნის ამაღლება ჩვენი სკოლის პედაგოგთა საქმიანობის პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, ქართული ენის დღესთან დაკავშირებით, მარაბდის საჯარო სკოლაში, სკოლის დირექტორის **თამრიკო ფიჩხულაშვილისა** და ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგების – **ეთერ ადიკაშვილისა** და **ლეილა ამინაშვილის** – ერთობლივი ინიციატივით, 14 აპრილიდან 9 მაისის ჩათვლით, მოეწყო უფროსკლასელთა შორის ქართული ენის კვირეული.

ქართული ენის კვირეულის მიზანი იყო მოსწავლეებში მშობლიური ენის სიყვარულის გაღრმავება, რათა მათ ადრეულ ასაკშივე გაიზიარონ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამ ღვთითბოძებული განძის სიწმინდის დაცვა და თითოეულმა მათგანმა იგრძნოს ის პასუხისმგებლობა, რაც აკისრია ენის, მამულისა და სარწმუნოების წინაშე.

ქართული ენის კვირეული ოთხი ეტაპისაგან შედგებოდა და ყოველი დღე სხვადასხვა შემეცნებითი ღონისძიებით იყო დატვირთული.

პირველ ეტაპზე ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი – „ქართული კალიგრაფია“, რომლის მიზანი იყო მოსწავლეთა წერითი კულტურის განვითარება და შემოქმედებითი უნარის წარმოჩენა.

მეორე ეტაპი – „ენის საუკეთესო მცოდნე“. ამ კონკურსის მიზანს წარმოადგენდა მოსწავლეთა ლექსიკური, გრამატიკული და სააზროვნო კომპეტენციის გამოვლენა, ენობრივი ნორმების დაცვის გათავისება და „ენის საუკეთესო მცოდნე“ მოსწავლეების გამოვლენა.

ქართული ენის კვირეულის მომდევნო – მესამე ეტაპზე მოსწავლეებმა წარმოადგინეს საკონფერენციო თემა – „გვაქვს უთვალავი ფერითა“, სადაც ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხე-კუნჭულის მონახულებისა და მისი მრავალფეროვანი სილამაზისა და მშვენიერებით დატკბობის ბავშვური, დაუოკებელი სურვილი გამოხატეს. მათ ეს შესაძლებლად მიაჩნიათ, რადგან ღმერთმა „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“, რომელიც ზოგჯერ ზღაპრების სამყაროა, თავისი ულევი სითბოთი, სიხარულითა და სიკეთით. უფალმა დაგვხატა და დაგვიხატა ლამაზი, უთვალავი ფერით შეზავებული საქართველო, ულამაზესი ბუნებით, მარგალიტის მძივებივით მიმობნეული ტაძრებით, კაშკაშა მზითა და ნათელი მთვარით, დაგვიხატა უთვალავი ფერით აჭრელებული ცისარტყელა, წვიმის შემდეგ რომ გადაეკვრება ხოლმე ცას და თავისი ნაირ-ნაირი ფერებით ჩვენს ქვეყანას მუდამ მშვიდობას უქადის.... სწორედ ეს არის გამოუცნობი სამყაროს უთვალავ ფერთა ნაწილი, რომელიც ყველა ადამიანისათვის მისაწვდომია. სწორედ სამყაროს ეს მისაწვდომი უთვალავი ფერები გვილამაზებენ და გვიმრავალფეროვნებენ მას და ჩვენი ცხოვრებაც სიურპრიზებით ივსება.

დასკვნითი – მეოთხე ეტაპი ახალი ქართული ლიტერატურისა და „მსოფლიო სევდის“ ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის – ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას ეთმობოდა. ეს იყო მხატვრული კითხვის ტური.

ჟიურიმ გამარჯვებული მოსწავლეები გამოავლინა: **ლარისა გვასალია** (მე-9 კლ.), **თინათინ ჯაჯანიძე**, **მარიამ ვიბლიანი**, **რატი ნიჟარაძე** (მე-10 კლ.), **ქეთი ფიჩხულაშვლი**, **გიორგი ვიბლიანი**, **სოფო ჩხვიმიანი** და **თამუნა იაშვილი** (მე-11 კლ.). დირექციამ თითოეული მათგანი სიგელებითა და მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლზე დასასწრები ბილეთებით დააჯილდოვა.

დასასრულს, 9 მაისს, შედგა ქართული ენის კვირეულის საზეიმო დახურვა.

ამ წერილში მარაბდის საჯარო სკოლის საქმიანობის მხოლოდ მცირე ნაწილია წარმოდგენილი. სკოლა აქტიურადაა ჩართული მრავალ საინტერესო, შემეცნებით და სასწავლო კონკურსებში და მომავალშიც გეგმავს მოსწავლეთა მეტ ჩართულობას, მეტ მრავალფეროვნებას და სკოლის აქტიურობის უფრო დიდ მასშტაბს.

დაბოლოს, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩემი სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლეებს – ბუხოს, ირაკლის, დიანას, ტაის, ჯიბოს, ელენესა და მედეას – მივულოცო სკოლის დამთავრება და ცხოვრების ახალ საფეხურზე გადასვლა.

ლეილა ამინაშვილი
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მარაბდის საჯარო სკოლის X კლასის დამრიგებელი

ფესტივალი

კულტურის ფესტივალი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში

მეორე საერთაშორისო კულტურის ფესტივალს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი მასპინძლობს. უნივერსიტეტში 20 სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები სწავლობენ, მათ შორის არიან: საქართველოს, თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ნიგერიის, კამერუნის, უკრაინის, რუსეთისა და სხვა მრავალი ქვეყნის ახალგაზრდები.

ფესტივალზე სტუდენტები მათი ქვეყნის კულტურას, ტრადიციებს, ცეკვას და სიმღერას წარმოადგენენ. ფესტივალის სტუმრებს შეუძლიათ დააგემოვნონ თითოეული ქვეყნის მიერ წარმოდგენილი ეროვნული კერძები.

ფესტივალი 19 მაისს გაიხსნა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში და მას სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კულტურის ფესტივალი პირველად 2014 წელს ჩატარდა და ყოველწლიური სახე მიეცა.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტია საქართველოში. მის წარმატებას განაპირობებს სწავლების მაღალი დონე და პროფესიონალ ლექტორთა გუნდი.

სპორტი

ქართული სკოლების შვედური მოდელი

სამშაბათს, სასტუმრო „თორსში“, საინტერესო მემორანდუმი გაფორმდა საქართველოს ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნულ ფედერაციასა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) სპორტისა და ტურიზმის ექსპერტებთან. პროექტი სამწლიანია – მოიცავს 2015-2018 წლებს და განკუთვნილია დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის.

სამწუხაროდ, სპორტი ქართული სკოლებისთვის „აქილევსის ქუსლად“ იქცა, ვერა და ვერ შემუშავდა ისეთი მოდელი, რომელიც განაპირობებს სპორტში მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმას, სპორტი კვლავაც „გერის“ როლში რჩება. არადა, ფიზიკური აქტივობა საუკეთესო საშუალებაა მოზარდი თაობის გაჯანსაღებისთვის. და არა მხოლოდ ფიზიკური ჯანმრთელობისთვის, არამედ, სულიერი და მორალურ-ფსიქოლოგიური გაკაჟებისთვის. მარტივი ჭეშმარიტებაა – ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია!

სწორედ ამ კუთხით მუშაობას ისახავს მიზნად შვედური მხარის მიერ შემოთავაზებული პროექტი. ესაა საპილოტე პროექტი, სახელწოდებით – „სპორტი-ჯანმრთელობა-დემოკრატია-გენდერული თანასწორობა“. როგორც „თორსში“ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, ესაა დაინტერესებულ პირთა ჯგუფი, რომელიც იღვწის ერთი განსაკუთრებული მიზნისკენ – შექმნას ე.წ. ახალი თაობა, რომლის მიზანიც თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მოქალაქის აღზრდა იქნება. საბჭოთა მენტალიტეტგამოვლილებს ცუდად გვახსოვს ე.წ. „ახალი მოქალაქის“ შექმნის მცდელობა, თუმცა შვედური მოდელი უფრო სხვა მიზანს ისახავს: დაამკვიდროს ცხოვრების ჯანსაღი წესი (არანაირი ნარკოტიკი „უკეთესი ცხოვრების მისაღწევად“), საზოგადოებაში წარმატებული ცხოვრება და მოღვაწეობა, ერთ-ერთ მთავარ ქვაკუთხედს კი გენდერული თანასწორობა წარმოადგენს, თუმცა ამის გარდა, სხვა განმასხვავებელი ფაქტორების (რელიგიური, ეთნიკური, კულტურული, სოციალური) აღმოფხვრას და მათ წარმომადგენელთა დაახლოებასაც ითვალისწინებს.

როგორც გითხარით, პროექტი საპილოტეა და სამი წლის განმავლობაში გაგრძელდება, ამჯერად კი, ძირითადად, გამიზნულია სკოლებში მინი-ხელბურთის დანერგვაზე. რატომ მაინცდამაინც ხელბურთი? საქმე ისაა, რომ პროექტის შვედი ავტორი **პერ არნე ოვე კარლენი** ყოფილი ხელბურთელია და შვედეთის ეროვნულ ნაკრებში მშვენიერი კარიერაც ჰქონდა – 329 თამაში ნაკრებში და 1032 გოლი, არის ოლიმპიური თამაშების ორგზის ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს ორგზის ბრინჯაოს მედალოსანი, ევროპის ჩემპიონი, ევროპის ხელბურთის ფედერაციის მაგისტრი. ხელბურთთან და სპორტთან ახლოსაა პროექტის თანაავტორი **ოვე რუნ ერიკსონიც**, თუმცა ის, ძირითადად, ბიზნესში საქმიანობს და ტურიზმისა და ბიზნესის სფეროში ექსპერტ-კონსულტანტიცაა. არის „ბორჯომის“ ოფიციალური დისტრიბუტორი შვედეთში.

საქართველოდან მათი პარტნიორობა ითავეს სპორტის ექსპერტმა **თამაზ თევზაძემ** და საქართველოს ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **ლევან კიკალიშვილმა**. თევზაძეს ამგვარ პროექტებში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს – მისი დანერგილია ქვეყანაში „სახალისო ფეხბურთის“ მოდელი, რომელსაც, წლებია, დანიელთა დახმარებით ახორციელებს დ საკმაოდ წარმატებულიცაა. კიკალიშვილის ფედერაცია კი სხვადასხვა აქტივობებს მიმართავს სასკოლო ასაკის მოზარდებში, სკოლებში სპორტული აქტივობების გასაძლიერებლად. მათი საქმიანობიდან ყველაზე ცნობილია „მხიარული სტარტები“ და ახლხან მიმდინარე „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“, თუმცა ბევრ სხვა ღონისძიებებასაც ატარებენ.

აღნიშნული პროექტი, თეორიულ მეცადინეობებთან ერთად, პრაქტიკულ დახმარებასაც ითვლისწინებს – გარდა იმისა, რომ ჩააბას მოსწავლეები სპორტულ აქტივობებში (ეს ზოგადი მიზანია), შეასწავლოს მოზარდებს ხელბურთის ანბანი, გაუღვივოს მათ ინტერესი სპორტის ამ სახეობისადმი, ანუ ხელი შეუწყოს მის მასობრიობას, გადაამზადოს მასწავლებლები, რათა პროექტის დასრულების შემდეგ მათ დამოუკიდებლადაც შეძლონ მუშაობის გაგრძელება ამ სფეროში.

ჯერჯერობით დაწყებით კლასებზეა გათვლილი, თუმცა არაა გამორიცხული, სამომავლოდ ასაკი გაიზარდოს. პირველ ეტაპზე, საცდელად, დედაქალაქის ერთი სკოლა შეირჩა – 82-ე საჯარო სკოლა. თუ რატომ, ამაზე ქვემოთ კიკალიშვილი ისაუბრებს, სამომავლოდ მასშტაბი აუცილებლად გაიზრდება. რაც მთავარია, თბილისთან ერთად რეგიონებსაც მოიცავს, მეტიც – შეიძლება ითქვას, მუშაობის რეგიონებში გადატანა პროექტის და მასპინძლების უმთავრესი მიზანია, რადგან სპორტს იქ უფრო მეტად უჭირს, ვიდრე დედაქალაქში (თუმცა არავინ კამათობს, რომ დალხენილი ვითარება არც აქაა).

პროექტის კიდევ ერთი მთავარი ამოცანა გენდერული თანასწორობაა. საქართველოში, ყოველ შემთხვევაში სპორტში, ეს პრობლემა ნაკლებადაა, თუმცა ძალიან აქტუალურია მსოფლიოსთვის. მაგალითად, საუდის არაბეთმა ქალებს ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება მხოლოდ ლონდონში დართო 2012 წელს, მერე კი გამოვიდა ინიციატივით, ჩაატარონ თამაშები მხოლოდ მამაკაცებისთვის...

მემორანდუმის გაფორმების შემდეგ რამდენიმე მონაწილეს კომენტარი ვთხოვეთ.

ლევან კიკალიშვილი, საქართველოს ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი: *„აუცილებელია, სპორტმა სკოლაში ის კუთვნილი ადგილი დაიკავოს, რომელიც ბავშვის აღზრდაში ფიზიკურ განვითარებას უნდა ეჭიროს. ამიტომ ყველა პროექტი, რაც კი მას ხელს შეუწყობს, მისაღებია და დასანერგი. ეს პროექტიც აუცილებლად გაფართოვდება და რეგიონებსაც მოიცავს, რითაც განსაკუთრებით ვართ დაინტერესებული. თუმცა, ამაში განათლების სამინისტროს ჩართულობაც აუცილებელია.*

ჩვენი ფედერაცია ბევრ სკოლასთან თანამშრომლობს, საპილოტედ კი 82-ე სკოლა იმიტომ შევარჩიეთ, რომ, მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც, ყველანი აქტიურად არიან დაკავებული სპორტით. სხვათა შორის, მათ ძალიან საინტერესო, კრეატიული დირექტორი ჰყავდათ – გაკვეთილზე მოსწავლეთა დაგვიანება რომ აღმოეფხვრა, მაგიდის ჩოგბურთის მაგიდები დადგა სკოლაში და გაკვეთილების დაწყებამდე თამაშის საშუალებას აძლევდა. ამით დაგვიანება საერთოდ მოსპო სკოლაში.“

ზურაბ კაკაბაძე, საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი: *„საქართველოს ხელბურთის ფედერაცია, უკვე დიდი ხანია, ინტენსიურად მუშაობს მინი-ხელბურთის გასავითარებლად. ეს ერთ-ერთი საინტერესო პროექტია, რომელიც მოიცავს 8-დან 11 წლამდე ასაკის ბავშვებს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გოგონები და ბიჭები ერთად თამაშობენ და გაკვეთილის დაგეგმვაც გაადვილებულია. მემორანდუმის გაფორმება ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. მისი მეშვეობით ნელ-ნელა დავიწყებთ ამ პროექტის გააქტიურებას და მხარდამჭერების მოზიდვას როგორც შვედეთის მხრიდან, ასევე ევროპის ხელბურთის ფედერაციიდან, რაც საშუალებას მოგვცემს, ინვენტარით უზრუნველყოფა დავიწყოთ. თეორიულთან ერთად, ეს პროექტი პრაქტიკულ დახმარებასაც ითვალისწინებს. მიმაჩნია, რომ იგი კიდევ უფრო უნდა გავააქტიუროთ საქართველოში, რადგან სკოლებში ადვილად დასანერგია.“*

პერ კარლენი: *„ამ მემორანდუმზე ხელმოწერას წინ ექვსთვიანი მუშაობა უძღოდა. ეს ყველაფერი ლევან კიკალიშვილისა და თამაზ თევზაძის უშუალო მონდომებით მივიყვანეთ ბოლომდე და კმაყოფილები ვართ ამ თანამშრომლობით. პროექტი ითვალისწინებს 8-დან 12-წლამდე ასაკის მოზარდების – როგორც ბიჭების, ასევე გოგონების – ჩართვას მინი-ხელბურთში. თამაშისას აუცილებელია, მათი რაოდენობა თანაბარი იყოს. ეს ერთგვარი ნიშანია ამ პროექტისა, რომლითაც ვუდგებით სამიზნე ჯგუფს.*

*პროექტის იდეა შვედეთში თქვენს ელჩთან, ბატონ **კონსტანტინე ქავთარაძესთან** შეხვედრისას დაიბადა. მასთან მქონდა საუბარი თემაზე, რა პრობლემებია თქვენთან ჯანმრთელობასთან, ფიზიკურ აქტივობასთან დაკავშირებით. მან მითხრა, რომ საჭირო იყო, ამ კუთხით, რაღაც ძვრები მომხდარიყო. ამის შემდეგ, დეკემბერში, დავიწყე ამ პროექტზე მუშაობა, რომელიც წარვუდგინე ელჩს და ერთ თვეში ჩამოვედი თბილისში, სადაც მქონდა შეხვედრები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.*

აღნიშნული პროექტი საპილოტეა და, პირველ ეტაპზე, საცდელად შევარჩიეთ თბილისის გარეუბანში მდებარე სკოლა, სადაც ჩატარდება მინი-ხელბურთის თამაშები. ეს სკოლა ჩვენთვის იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ბევრი ბავშვი სოციალურად დაუცველი ოჯახიდანაა.“

შვედ სტუმარს იმაზეც დავეკითხეთ, იქაურ სკოლებში როგორ ტარდება სპორტის გაკვეთილები და საკმაოდ საინტერესო პასუხები მივიღეთ. კვირაში ორჯერ სავალდებულოა ფიზკულტურის გაკვეთილი. ეს მკაცრი მოთხოვნაა, თუმცა, დაინტერესების შემთხვევაში, შეუძლიათ, დამატებითი საათი მოითხოვონ. ამისათვის საჭიროა, 5-6-კაციანი ჯგუფი მაინც რომ იყოს.

როგორც გაირკვა, პერ კარლენი თურმე თავის მშობლიურ ქალაქში, ერებროში, სახელბურთო აკადემიის დამფუძნებელიც ყოფილა, რომელსაც არცთუ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე დიდი სახელი მოუხვეჭია. *„ეს აკადემია 10 წლის დაარსებულია, თუმცა, ამ ხნის განმავლობაში ეროვნული ნაკრების 25 პროცენტი მისი მოსწავლეა. ამასთან, პირველსა და უმაღლეს ლიგებში მოთამაშეთა 40 პროცენტი ამ აკადემიის აღზრდილია. იქ ისინი სწავლობენ სტრუქტურას, სწავლების მეთოდიკას, ანუ პირველ ნაბიჯებს დგამენ დიდი სპორტისკენ, ვინც ამის სურვილს გამოიჩენს. გვინდა, საქართველოშიც ასეთივე მიდგომა დავნერგოთ“* – გვითხრა შვედმა სტუმარმა.

ტურნირი მინი-ფეხბურთში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოენოვანი მედიცინის ფაკულტეტის, თვითმმართველობის (ხელმძღვანელი – **თარაკა შრინათა დუნუვლა**) სპორტისა და ხელოვნების წარმომადგენლის **ხერატას**, თსსუ სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის, **ზაურ ფხალაძის** და ამავე ცენტრის თანამშრომლის, უნივერსიტეტის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელის, ტურნირის მთავარი მსაჯის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, **ვახტანგ ბაქანიძის** ერთობლივი ძალისხმევთი გაიმართა ცნობილი სპორტული ფოტოკორესპონდენტის **ალექსანდრე (სანდრო) კოტორაშვილის** სახელობის თასის გათამაშება მინი-ფეხბურთში. მის მიერ გადაღებული ოლიმპიური, მსოფლიო, ევროპისა თუ რესპუბლიკური რანგის სპორტული შეჯიბრებების ამსახველი ფოტორეპორტაჟები დღესაც ამშვენებს ჩვენს სპორტულ ჟურნალ-გაზეთებს. იგი მრავალი გამოფენის ავტორიცაა.

მინი-ფეხბურთის ტურნირში მონაწილეობის სურვილი 12-მა გუნდმა გამოთქვა. გუნდები ორ ქვეჯგუფად დაიყო, 6-6 გუნდი თოთოეულ ჯგუფში. ქვეჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო გუნდი ნახევარფინალში გავიდა, ესენია: ნიგერიის I და ერაყის II; ნიგერიის II და ერაყის I.

პირველი ნახევარფინალის ძირითადი და დამატებითი დრო 2:2 დამთავრდა, პენალტების სერიაში კი 4:3 გაიმარჯვა ნიგერიის პირველმა გუნდმა. მეორე ნახევარფინალი კი 5:3 მოიგო ნიგერიის მეორე გუნდმა. ორივე ნახევარფინალი საინტერესოდ წარიმართა. მესამე ადგილი, დებულების თანახმად, მიეკუთვნა ერაყის მეორე გუნდს.

ფინალში ნიგერიის ორი გუნდი შეხვდა ერთამენთს. თამაში, საფეხბურთო გააზრებული კომბინაციებით, საინტერესო და დაძაბული გამოდგა. 13 მაისს, ფინალის დღეს, გადაუღებლად წვიმდა. ძირითადი დრო ფრედ – 1:1 დამთავრდა. დამატებით დროში (5-5 წუთი) გადამწყვეტი გოლი თსსუ-ს ნაკრები გუნდის წევრმა, ნიგერიელმა კლიფ ნჯამ გაიტანა. შეხვედრა ნიგერიის პირველმა გუნდმა 2:1 მოიგო.

ბატონმა სანდრო კოტორაშვილმა გამარჯვებული და დამარცხებული გუნდები თასებითა და მედლებით დააჯილდოვა. დასახელდნენ საუკეთესო ფეხბურთელები: მეკარე – **სამსონ ჩუკვუმა ოკოროავორ**; ბომბარდირი – 11 გატანილი ბურთით – **იკემეფუნა ისრაელ ონუოჰა**; ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი – **კლიფ ნჯა** (ყველა ნიგერიელია). საუკეთესოთა შორის დასახელდნენ ერაყელი ფეხბურთელები: თავდამსხმელი – **იასირ თაირ სადამ**, ტექნიკური ფეხბურთელი – **ჰოსინ ალაა**.

ტურნირი მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა. თამაშს ესწრებოდნენ თსსუ მედიცინის ფაკულტეტის უცხოენოვანი სტუდენტები, თვითმმართველობის სპორტის მიმართულების ხელმძღვანელი – ხერატა.

ტურნირის მთავარმა მსაჯმა ვახტანგ ბაქანიძემ, ტურნირის კარგად ორგანიზებისათვის მადლობა გადაუხადა სპორტის მიმართულების ხელმძღვანელსა და თვითმმართველობას.

ლევან კიკალიშვილი ადგენს ოქროს ფონდს

მიმდინარეობს ხელმოწერა

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

მხატვრული ლიტერატურა

ათეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი**
მიგელ დელიბესი - **ორი რომანი**
აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი**
ისტორიის მიღმა
ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
სტენდალი - **წითელი და შავი**
ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
მაინ რიდი - **კვარტერონი**
ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
ალბერ კოენი - **დედაჩემი**
გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

თითო ტომის ფასი 14 ლარი

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

კრებულის ფასი – 12 ლარი

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

9 ლარი

ქართველი მწერლები

1. **ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი**
2. **მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) II, III, IV, V, VI, VII ტომი – 11 ლარი**
3. **ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი**
4. **ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი**
5. **კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი**
6. **რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, III, IV, V, VI ტომი – 12 ლარი**
7. **ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი**
8. **გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი**
9. **ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი**
10. **თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი**
11. **გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი**

მითითებულია თითო ტომის ფასი



თამაზ ვასაძე

კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

10 ლარი

ფასი – 15 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან ინტელექტი სკოლას

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი 12 ლარი

ავტომობილი
ამინდი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ქიმია
მეკობრეები
ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
ხალხთა დიდი გადასახლება
უძველესი ადამიანები
ოლიმპიური თამაშები
კრიმინალისტიკა
მათემატიკა
მეცნიერებები
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი
მთები
ჯანსაღი კვება
არქიტექტურა



რა არის რა

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

თემატური კლასტერები

დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. **წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი**
2. **წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული**
3. **ფერები**
4. **გარეული ცხოველები**
5. **გარეული ფრინველები**
6. **პროფესიები**
7. **რიცხვები**
8. **შინაური ცხოველები და ფრინველები**
9. **ჰიგიენის ნივთები**
10. **საოჯახო ნივთები**
11. **ტრანსპორტი**
12. **წყლის ბინადრები**
13. **რუსული ანბანი**

2.50 ლარი

მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. **რელიგიების წარმოშობა**
2. **გარეული ფრინველები საქართველოში**
3. **გარეული ცხოველები საქართველოში**
4. **მწერები**
5. **ძვეწარმავლები საქართველოში**
6. **საქართველოს მცენარეები**
7. **სამყაროს წარმოშობა**
8. **ნიადაგი – სიცოცხლის წყარო**
9. **რეპტილიები და დინოზავრები**
10. **მსოფლიოს დროშები**
11. **ზღვის დინებები**
12. **ძიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა**
13. **ძართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა**
14. **მსოფლიოს შვიდი საოცრება**

4 ლარი

მწერალთა პორტრეტები *(34X47 სმ)*

1. **მიხეილ ჯავახიშვილი**
2. **გიორგი ლეონიძე**
3. **ირაკლი აბაშიძე**
4. **ნოდარ დუმბაძე**
5. **აკაკი წერეთელი**
6. **კონსტანტინე გამსახურდია**
7. **პაოლო იაშვილი**
8. **სულხან-საბა ორბელიანი**
9. **პოლიკარპე კაკაბაძე**
10. **გურამ რჩეულიშვილი**
11. **დავით გურამიშვილი**
12. **ბესიკი**
13. **რევაზ ინანიშვილი**
14. **თეიმურაზ I**
15. **ვახტანგ VI**
16. **გიორგი მერჩულე**
17. **გრიგოლ ორბელიანი**
18. **დავით ალმაშენებელი**

4 ლარი

რეპროდუქციები

1. **ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი**
2. **მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო**
3. **ადელ გლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი**
4. **მენინები - დიეგო ველასკესი**
5. **დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო**
6. **მხატვრის ბაღი - კლოდ მონე**
7. **უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი**
8. **საძაველა - ოგიუსტ რენუარი**
9. **საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა**

6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

„MY HEART IS IN THE HIGHLANDS“

14 მაისს, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჩატარდა ღონისძიება თსუ-ს აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელის, ბატონ **გია მამულაშვილის**, პროექტების კოორდინატორის, ბატონ **გიორგი გრიგოლაშვილის** და თსუ-ს საბავშვო პროგრამების კოორდინატორის, ქალბატონ **მარინა ლომოურის** ხელშეწყობით. ღონისძიებას ესწრებოდნენ 116-ე საჯარო სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და მოწვეული სტუმრები.

რობერტ ბერნსის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიება პირველად არ ტარდება 116-ე საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ. აქამდე ეს ხორციელდებოდა 116-ე საჯარო სკოლაში. რობერტ ბერნსი მე-18 საუკუნის ცნობილი შოტლანდიელი პოეტი, სიმღერების ავტორი და შოტლანდიის ეროვნული გმირი იყო, რომლის დაბადების დღეს დიდი ბრიტანეთის საელჩო მთელ მსოფლიოში ზეიმობს. ძნელი წარმოსადგენია ახალი წლის ზეიმი რობერტ ბერნსის სიმღერის *Auld Lang Syne*-ის გარეშე. VI-VII კლასების მოსწავლეებმა პოეტის ცხოვრება, შემოქმედება და ლექსები ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებზე წარმოადგინეს.

მსურს აღვნიშნო, რომ მრავალი წელია ვმეგობრობ შოტლანდიელ ქალბატონთან, **ფრენსის მაკგოვანთან**, რომელმაც არა ერთი წიგნი, CD და შოტლანდიასთან დაკავშირებული სხვადასხვა მასალა გამომიგზავნა, მათ შორის რობერტ ბერნსის პოეზიის ანთოლოგია და სიმღერები. ამჯერად ვაპირებ, ამ ღონისძიების ამსახველი მასალები გავუგზავნო მას შოტლანდიაში.

ღონისძიებაში, ასევე, მონაწილეობდნენ ინგლისური ენის პედაგოგები – **ირინა ღვინიაშვილი**, **ეკა ნადარაია** და რუსული ენის პედაგოგი **როზა გეევორქოვა**. ღონისძიება ორ პროექტს მოიცავდა: რობერტ ბერნსის პოეზია და ბრიტანელი მხატვრების ცხოვრება და შემოქმედება. დარბაზში გამოფენილი იყო 116-ე სკოლის მეექვსეკლასელი **გვანცა ჯავახიშვილის** ნახატები. ამასთანავე, გვანცამ წაიკითხა ბერნსის ურთულესი ლექსი – *ოცნება*. უნდა აღინიშნოს, რომ გვანცას ნახატებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. ის არაერთი გამოფენის მონაწილე და გამარჯვებულია. 2013 წელს მისი პერსონალური გამოფენა მოეწყო ზ. სულაკაურის ცენტრში. ამავე ღონისძიებაში მონაწილეობდა გვანცას დაც, მეცხრეკლასელი **მარიამ ჯავახიშვილი**, რომელიც ასევე გამორჩეულია თანატოლებს შორის ნიჭიერებით, რადგან უკვე ცნობილი მოჭადრაკეა და მრავალი საჭადრაკო ტურნირის გამარჯვებული. კერძოდ, საბერძნეთში (2010წ.), თბილისში (2013 წ.), არაბეთის გაერთიანებულ ემირატებსა (2013 წ.) და თურქეთში (2014 წ.).

ღონისძიება დაიწყო მცირე ვიდეოფილმის ჩვენებით – ანდრე რიე (მამაცი შოტლანდია – საოცარი კეთილშობილება) *„Andre Rieu Scotland the Brave Amazing Grace“*. შემდეგ დამსწრე საზოგადოებას მივესალმე და ბავშვებს მივმართე. აღვნიშნე, რომ უნივერსიტეტში ღონისძიების ჩატარება მეტად საპასუხისმგებლოა და წარმატება ვუსურვე.

პირველები გამოვიდნენ **ელენე ხაჩიძე** და **ზურა ახალაია**, რომლებმაც წაიკითხეს *„ჩემი სიყვარული წითელი, წითელი ვარდივით არის“*, ინგლისურ და ქართულ ენებზე. შემდეგ ეკრანზე ბერნსის სახლ-მუზეუმის ამსახველი მცირე ვიდეოფილმი უჩვენეს. **სალომე გაბოძემ** დამსწრე საზოგადოებას ბერნსის ცხოვრების შესახებ მოუთხრო, ამავდროულად, პროექტორით კედელზე უჩვენებდნენ ვიდეოფილმებს, ულამაზესი შოტლანდიური ხედებით. დარბაზში იღვრებოდა კელტური ჰანგები და რობერტ ბერნსის ცნობილი სიმღერები: წითელი, წითელი ვარდი; საახალწლო სიმღერა *„Auld Lang Syne“* და ა.შ.

ბერნსის ლექსები ასევე წაიკითხეს მეექვსეკლასელებმა: **თამარ ღვინიანიძემ**, **ნინო ზარქუამ**, **ლელა ღანთაძემ**, **პავლე ჩერემუშინმა**, **გიორგი ბროლაძემ**, **ნიკა ჩერნიშევმა**, **ლუკა ზუმაძემ**, **ალექსანდრე სხირტლაძემ**, **არტიომ კაცუბამ** და **გვანცა ჯავახიშვილმა**; მეშვიდეკლასელებმა: **კოკა სუხიშვილმა**, **კესო ბაბუნაშვილმა**, **ნინო ბიჩინაშვილმა**, **ეთერ ბაჩარაულმა**, **ანა ცაგარეიშვილმა**, **ვიტალი შარიქაძემ**, **ლუკა გელაშვილმა**, **ნატა ჭანტურიამ** და **დავით გვაგვალიამ**.

მეორე ღონისძიება ბრიტანელი მხატვრების ცხოვრებას და შემოქმედებას მოიცავდა. ეს იყო ინტეგრირებული პროექტი ხელოვნებასთან. ჩემთან ერთად, პროექტის განხორციელებაში ბავშვებს ხელოვნების მასწავლებელი, **ნინო კერესელიძე** დაეხმარა, რომელიც სამწუხაროდ, ვერ დაესწრო ღონისძიებას. მერვეკლასელებმა მოიძიეს შესაბამისი მასალები ინტერნეტიდან, დაამუშავეს ქართულ და ინგლისურ ენებზე და შექმნეს ბრიტანელი მხატვრების ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალის სლაიდები. პროგრამის შერჩევისას მოხდა დამთხვევა – ორმა მოსწავლემ ერთი და იგივე მხატვარი შეარჩია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ მიერ წარმოდგენილი მასალა საკმაოდ განსხვავებული და საინტერესო იყო. ფონისთვის ი.ს. ბახის შესანიშნავი მუსიკა – ბრანდერბურგის კონცერტები შეირჩა.







მეორე პროექტი დაიწყო **გიორგი ანტონიანის** გამოსვლით, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას თომას გეინსბოროს ცხოვრება და შემოქმედება გააცნო, მას შეენაცვლა **დავით კუჭუხიძე** – სერ ჯოშუა რეინოლდსის ღვაწლის შესახებ. **გვანცა ორჯონიკიძემ** საზოგადოებას ჯონ ევერეტ მილეს შემოქმედება წარუდგინა.

ანა ბოჭორიშვილმა, **ირინა ჩერნიშევმა**, **ანა-მარია წერეთელმა**, **ირინე ქარჩავამ**, **საბა გელაშვილმა**, **ნატო გელაშვილმა**, **თამარ გოგელიამ**, **მარიამ ჯავახიშვილმა**, **ესმა კვაჭაძემ**, **თეონა ივანიშვილმა**, **შოთა კუპრეიშვილმა**, **ანა ბოჭორიშვილმა** და **მარიამ მაისურაძემ** წარმოადგინეს ბრიჯიტ რაილის, უილიამ ტერნერის, უილიამ ბლეიკის, ჯონ ევერ მილეს, პიტერ მონამის, უილიამ ჰოგარტის, ჯოზეფ რაიტის, სერ ედუარდ კოლეის, ბიორნ ჯონსის, როჯერ დინის და ჯონ თომას პილეს ცხოვრება და შემოქმედება.

ღონისძიების დასასრულს მონაწილე ბავშვებმა სურათები გადაიღეს. ეს დღე ნამდვილად დიდი ზეიმი იყო მათთვის!

ნანა ქუთათელაძე
116-ე საჯარო სკოლის
ინგლისური ენის მასწავლებელი, მთარგმნელი

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >